ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კახეთში არასრულწლოვნების გაუპატიურების ორი ფაქტი დაფიქსირდა



გვ.5

პარასკევი, 7 აპრილი, 2023 №69 (9105) ფასი: 80 თეთრი

# „სანქციები შეეხებათ ბიძინა ივანიშვილს, ირაკლი კობახიძესა და დანარჩენებსაც“





გვ.3

თეონა აქუბარდია: „ქართული ოცნება“ იმდენად აგონიაშია, რომ სტრატეგიული პარტნიორის წინააღმდეგ შანტაჟსა და მუქარასაც კი აღარ ერიდებიან“

## „სანქციები დაუწესეს 75 წლის დედაჩემსაც... ღირსეულად გადავიტან“



ლევან მურუსიძე: „ამერიკის საელჩო სასამართლოს მიტაცებას ცდილობს“

გვ.2

## ვახტანგ ძაბირაძე: „ამერიკა აღარ გაჩერდება. ეს პროცესი ნელ-ნელა ივანიშვილამდეც მივა“



გვ.3

## „უნდა გავხდეთ დასავლეთის სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური ნაწილი“



„იმისათვის, რომ უკრაინელებმა, ქართველებმა, ბელარუსებმა, მოლდოველებმა თავი გადავირჩინოთ, რუსეთის გენოციდური განზრახვებისგან დაცული უნდა ვიყოთ“

გვ.4

2 დიმიტრი გვრიტიშვილი: „მე რატომ არ ვარ, ვთქვათ, სანქცირებული ან მიხეილ ჩინჩალაძე რატომაა სანქცირებული“

4 ირაკლი შენგელია: „აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა და ელჩმა დეგნანმა ლინჩის წესი აღადგინეს“

5 ბათუმის მე-5 საჯარო სკოლაში მოსწავლეებმა თვითდაზიანებები მიიყენეს

6 რუსი ოფიცრის თამამი პროგნოზი

# „სანქციები დაუწესეს 75 წლის დედაჩემსაც... ღირსეულად გადავიტან“

## ლევან მურუსიძე: „ამერიკის საელჩო სასამართლოს მიტაცებას ცდილობს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ლევან მურუსიძე პასუხობს.



***– ბატონო ლევან, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა ოთხ ქართველ მოსამართლეს სანქციები დაუწესა. სიის სათავეში ხართ თქვენ. რა შეფასებას გააკეთებდით, რატომ მოხვდით სანქცირებულთა სიაში? როგორია თქვენი პოზიცია? ხაზგასმით არის საუბარი კორუფციულ ფაქტებზე.***

– აქ რეალურად საუბარი არ არის იმაზე, რომ ვინმეს აინტერესებდეს კორუფციული მომენტი. ეს კორუფცია მოტანილია შირმად. მთავარი აქ სხვა რამეა. ეს არის სიგნალი მოსამართლეებისა და სასამართლო სისტემისთვის, რომ თუ არ მოხდება იმ გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ჩვენთვის არის მისაღები, მოგექცევით ისე, როგორც მოვექეცით ლევან მურუსიძეს.

***– რის თქმა გინდათ, რომ ეს შანტაჟია?***

– რა თქმა უნდა, ეს არის პირდაპირ სასამართლო ხელისუფლების მიტაცების მცდელობა და მეტი არაფერი.

***– ვისი მხრიდან?***

– ვისი მხრიდან და ამერიკის საელჩოს მხრიდან. აბა ვისი? ვინც ეს განცხადება გააკეთა, იმის მხრიდან! ჯერ არასამთავრობო ორგანიზაციები ჰყავდათ ამისთვის გამოყენებული, მერე – პოლიტიკური პარტიები, შემდეგ ათასი უსაფუძვლო განცხადება მოვისმინეთ. იყო სასამართლოზე თავდასხმები. ჩემზე ხომ რამდენი წელია, რაც ეს მზადდებოდა და, რომ არაფერმა გაჭრა, პირადად ჩემთვის მართლაც მძიმე გადაწყვეტილებით და ზოგადად ყველასთვის სიგნალს აგზავნიან სასამართლო კორპუსში, რომ თუ დადგებით ლევან მურუსიძის გვერდით, იგივე ბედი მოგელით. გზავნილი ასეთია – გააკეთეთ არჩევანი, იქნებით მართლმსაჯულების სადარაჯოზე თუ ჩვენი ინტერესების.

***– რა კორუფციულ სქემებზეა საუბარი? რა ინფორმაციას ფლობენ? ჰაერიდან ხომ არ მოვიდოდა ეს ყველაფერი?***

**„ამერიკის ელჩი გამოდიოდეს და იძახდეს მოქმედ მოსამართლეზე, რომ ის არის კორუმპირებული! ელჩი არ არის მოსამართლე! მას არ უნდა ჰქონდეს იმის უფლება, რომ ილაპარაკოს ასეთი ტონით, პირდაპირ მტკიცებულებით ფორმაში, რომ კონკრეტული მოსამართლე კორუმპირებულია“**

– რა კორუფციაზე ლაპარაკობენ, მაშინ ღიად თქვან და დადონ მტკიცებულებები, რა კორუფციაზეა ლაპარაკი. კორუფცია – ეს არის თითიდან გამოწოვილი თემა და, შესაბამისად, მთავარი მესიჯი აქ არის ის სასამართლო კორპუსისათვის, რომ მოხდეს მთლიანი სასამართლო კორპუსის დამორჩილება ამერიკის საელჩოსადმი.

***– ბატონო ლევან, გადადგომასა და სისტემიდან წასვლას ხომ არ აპირებთ?***

– რატომ უნდა წავიდე?! სიმართლე გითხრათ, მე ახლა ვარ ძალიან მშვიდად. ამ ცხოვრებაში მთავარი არის ადამიანის ღირსება. მიმაჩნია, რომ ვარ აბსოლუტურად მართალი. ყოველთვის ვაკეთებდი იმას, რომ განმტკიცებულიყო სასამართლოს მართლმსაჯულება, რომ საქართველომ არ დაკარგოს სუვერენიტეტი. წლების განმავლობაში მიდიოდა სასამართლოში ხელის ფათური. რომ ვერ მიაღწიეს ამას, ამიტომ ახლა გამოიყენეს ასეთი მეთოდი. ეს არის ზეწოლა მოსამართლეებზე და სიგნალი, რომ მოგექცევით ისე, როგორც ვექცევით ლევან მურუსიძეს. ამიტომ უნდა მოიქცეთ ისე, როგორც ჩვენ გეტყვით. სულ ეს არის.

***– ბატონო ლევან, რა განწყობაა მოსამართლეებში? ბევრი ფიქრობს, რომ შესაძლოა, სასამართლო სისტემის რღვევა დაიწყოს.***

– არ ვიცი, ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით, ვნახოთ, რა იქნება. დღეს საკითხი დგას ასე, ქვეყანა დაკარგავს სუვერენიტეტს თუ არა, იქნება საქართველოში დამოუკიდებელი მართლმსაჯულება თუ იქნება ამერიკის საელჩოს მიერ კონტროლირებადი. ეს სხვა ქვეყნებში გაუკეთებია ამერიკას. ეს არ არის პირველი შემთხვევა. მაგათ მიაჩნიათ, რომ თავად არიან დამამკვიდრებლები სამართლიანობის, დემოკრატიის და, შესაბამისად, რაც მაგათ მიაჩნიათ, მხოლოდ ის არის სწორი. ამიტომ ცდილობენ, სასამართლო სისტემის დაქვემდებარება, პირდაპირ მიტაცება მოხდეს. ეს რომ აქამდე ვერ მოახერხეს ვერანაირად, ახლა გადადგეს ეს ნაბიჯი. ეს არის ცხადზე ცხადი. დანარჩენი ახლა ქართველი ხალხის გადასაწყვეტია, ავდგებით და ჩავაბარებთ სასამართლო სისტემას ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს, დავემორჩილებით ელჩის წარბის აწევას თუ სასამართლო მიიღებს დამოუკიდებელ და სამართლიან გადაწყვეტილებებს.

***– თქვენ ბრძანეთ, ეს გადაწყვეტილება ძალიან მძიმეა ჩემთვისო. სანქცირება შეეხო თქვენი ოჯახის წევრებსაც. რა რეაქცია ჰქონდათ ამაზე?***

– დიახ, ეხებათ, მაგრამ, რა ვქნათ ახლა? ჩემი ოჯახის წევრებისთვის, რა თქმა უნდა, ეს მძიმეა, მაგრამ ალბათ გამიგებენ, ჩემი ოჯახის წევრები არიან... უბრალოდ, საინტერესოა, რომ მართლა ეზრუნათ სასამართლოს დამოუკიდებლობისთვის, სანქციები დაუწესეს 75 წლის დედაჩემსაც და როგორმე გადაიტანს დედაჩემი ამ ამბავს. სამარცხვინოა, რაც მოხდა! რეალურად ახლა სასამართლო სისტემის მიტაცების პროცესია.

***– რას ბრძანებთ, ბატონო ლევან, ვისგან მიტაცების? ჩვენ დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ. სხვა ქვეყანა როგორ მიიტაცებს ჩვენს სასამართლო სისტემას?***

– ვისგან მიტაცების, არ გითხარით, ამერიკისგან და მისი ელჩისგან. საქმეც ეგაა, თურმე არ ვართ. მეც ვფიქრობდი, რომ ჩვენ ვართ დამოუკიდებელი ქვეყანა და არ შეიძლება, ამერიკის ელჩი გამოდიოდეს და იძახდეს მოქმედ მოსამართლეზე, რომ ის არის კორუმპირებული! ელჩი არ არის მოსამართლე! მას არ უნდა ჰქონდეს იმის უფლება, რომ ილაპარაკოს ასეთი ტონით, პირდაპირ მტკიცებულებით ფორმაში, რომ კონკრეტული მოსამართლე არის კორუმპირებული. ზუსტად ეგაა საქმე, ისინი არ გვიყურებენ ჩვენ, როგორც დამოუკიდებელ ქვეყანას. ახლა ამ პოლიტიკური პროცესების სამართავად და ბერკეტისთვის სჭირდებათ სასამართლო სისტემა. ვერ ჩაიგდეს ხელში სასამართლო სისტემა და მოგვადგნენ ჩვენ, დაგვიწესეს სანქცია და არჩევანის წინაშე დააყენეს მოსამართლეები.

***– რა არჩევანის წინაშე?***

– მოსამართლეები ან უნდა იყვნენ დამოუკიდებლები, ან დაემორჩილონ მათ დირექტივას.

***– პროცესების როგორ განვითარებას ელით?***

– სასამართლო შეინარჩუნებს თუ არა დამოუკიდებლობას და ჩვენი ქვეყანა – სუვერენიტეტს, ზოგადად ეს ქართველი ხალხის საქმეა. რაც შემეხება პირადად მე და ჩემ მიმართ გამოყენებულ სანქციებს, მე 100%-ით დარწმუნებული ვარ, რომ ამას შევხვდები ღირსეულად. ნამდვილად არ შემეშინდება და არც მუხლები ამიკანკალდება. რა თქმა უნდა, ცუდია, მაგრამ, რა ვქნათ, ერთხელ იბადება ადამიანი და მიმაჩნია, რომ ის უნდა მოიქცეს ღირსეულად. დიდ კაცთან პატარა კაცსა რომ დის გასვლია მართალიო... ალბათ მომერევა ამერიკის შეერთებული შტატები, მაგრამ...

***– შემდეგი სანქცირების კანდიდატი შეიძლება ბიძინა ივანიშვილი იყოსო. ამაზე რას იტყვით?***

– ვერაფერს გეტყვით, არ ვიცი არაფერი. მე მხოლოდ ჩემს თავზე შემიძლია გესაუბროთ. ეს არის მართლმსაჯულების მიტაცების პროცესი. რასაც აქამდე ვერ მიაღწიეს, ახლა უნდათ, რომ ამ მეთოდით მიაღწიონ.

# გრიგოლ ლილუაშვილი: „აკერმანიც ცოცხალი რომ ყოფილიყო და შემოსულიყო, არ შემოვუშვებდით“



– აკერმანიც ცოცხალი რომ ყოფილიყო და შემოსულიყო, არ შემოვუშვებდით, – ამის შესახებ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელმა გრიგოლ ლილუაშვილმა მედიასთან განაცხადა, როდესაც დაადასტურა ინფორმაცია, რომ აშშ-ის მოქალაქე ჯეიმსონ მარშალ ქომინსი საქართველოში არ შემოუშვეს.

ლილუაშვილის თქმით, ქომინსის ქვეყანაში არშემოშვების თაობაზე აშშ-ის საელჩო უწყებას არ დაჰკავშირებია და „ალბათ, მიზეზი თავადაც კარგად იციან“.

– ვადასტურებ, რომ ჯეიმსონ მარშალ ქომინსი არ შემოვიდა საქართველოში ჩვენი გადაწყვეტილების საფუძველზე. აკერმანი ცოცხალი აღარ არის, დააყენეთ ის კაცი, შეიძლება ქომინსი უარეს საქმიანობასაც ეწეოდა. ვადასტურებ, რომ არის კონკრეტული ინფორმაციები, რომელიც ეყრდნობა მაღალი სანდოობის წყაროებს. აშშ-ის საელჩო არ დაგვკავშირებია რატომ არ შემოვუშვით, ალბათ მიზეზი თავადაც კარგად იციან. აკერმანიც რომ ცოცხალი ყოფილიყო და შემოსულიყო, არ შემოვუშვებდით, მას შემდეგ რაც მხილებული იყო იმაში, რა საქმიანობითაც იყო დაკავებული, – განაცხადა ლილუაშვილმა.

მისივე თქმით, ვერ იტყვის, სანქციები პირდაპირ კავშირშია თუ არა მის არშემოშვებასთან და აღნიშნა, რომ ეს ამერიკულ მხარეს უნდა ვკითხოთ, თუმცა, ეს კავშირი არ გამორიცხა.

– შეიძლება კავშირი არსებობს კიდეც, შეიძლება არ არსებობს, ეს უნდა ჰკითხოთ იმ მხარეს, ვინც სანქციები დააკისრა კონკრეტულ პირებს, – განაცხადა ლილუაშვილმა.

სუს-ის ხელმძღვანელის თქმით, ჯეიმსონ მარშალ ქომინსის „საქმიანობა დაკავშირებული იყო 7-8 მარტის აქციებზე დესტრუქციულად განწყობილი ჯგუფების დატრენინგებასთან, მითითების გაცემასთან და ა.შ.“

# რუხის კლინიკაში ლიფტი ჩავარდა



რუხის კლინიკაში გუშინ ლიფტი ჩავარდა. ლიფტი მეოთხე სართულის სიმაღლიდან მაშინ მოწყდა, როცა იქ 4 პირი იმყოფებოდა. ერთი მათგანი მძიმედაა დაშავებული, საჭირო გახდა მისი თბილისში გადაყვანა.

დაშავებული დედაქალაქიდან რუხში ჩასული ექიმია, თუმცა კლინიკაში სხვა დეტალებს მალავენ და ამბობენ, რომ დაშავებულმა ფეხი თავად იღრძო.

– არავინ არ ჩავარდნილა, ფეხი გადაუტრიალდა ადამიანს... დიახ, მაგის გამო წავიდა თბილისში, თბილისელია, – ამბობს კლინიკის ხელმძღვანელი. მისივე თქმით, ლიფტი უფუნქციოა და არ მუშაობს.

# დიმიტრი გვრიტიშვილი: „მე რატომ არ ვარ, ვთქვათ, სანქცირებული ან მიხეილ ჩინჩალაძე რატომაა სანქცირებული“



იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი მოსამართლე დიმიტრი გვრიტიშვილი პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას მოითხოვს და აცხადებს, რომ მხოლოდ ღარიბაშვილს მიაწვდიან დეტალურ ინფორმაციას „კულუარულ ზეწოლებზე“. სანქცირებული მოსამართლეების კოლეგა ამბობს, რომ საქართველოში სასამართლო ხელისუფლება საფრთხეშია.

– მივმართავ საქართველოს მთავრობას, რომელიც პასუხისმგებელია პირველ რიგში სახელმწიფოს სუვერენიტეტის დაცვაზე, ბატონ პრემიერ-მინისტრს, დაუყოვნებლივ უმოკლეს ვადებში დააორგანიზოს შეხვედრა ჩვენთან, მოსამართლეებთან. ჩვენ მას დეტალურად წარვუდგენთ იმ ინფორმაციას, რომელიც გვაქვს, აი, იმ კულუარულ ზეწოლებზე, რაზეც ლევანი საუბრობდა, რაზეც მე ვლაპარაკობ. სრულყოფილ ინფორმაციას მხოლოდ მას მივაწვდი. დაველოდები შემდგომ რა იქნება საქართველოს მთავრობის რეაგირება. იმის შემდგომ დავგეგმავთ ჩვენს ქმედებებსაც, – თქვა გვრიტიშვილმა იუსტიციის საბჭოს სხდომაზე.

დიმიტრი გვრიტიშვილი კითხვას სვამს: რატომ დასანქცირდა მურუსიძე?

– რა გააკეთა ამ კაცმა განსხვავებული იმისგან, რასაც მე ვაკეთე, რასაც ბადრი აკეთებს? რატომ იმსახურებდა ამას, მაგას ვერავინ იტყვის. მე რატომ არ ვარ, ვთქვათ, სანქცირებული ან მიხეილ ჩინჩალაძე რატომაა სანქცირებული? – ამბობს ის. „კულუარულ ზეწოლებზე“ პირველი განცხადება სხდომაზე სანქცირებულმა მურუსიძემ გააკეთა და ამტკიცებდა, რომ აშშ-ის საელჩოს სასამართლო სისტემის კონტროლი სურს.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – ხოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
ხაფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
ხარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „სანქციები შეეხებათ ბიძინა ივანიშვილს, ირაკლი კობახიძესა და დანარჩენებსაც“

## თეონა აქუბარდია: „ქართული ოცნება“ იმდენად აგონიაშია, რომ სტრატეგიული პარტნიორის წინააღმდეგ შანტაჟსა და მუქარასაც კი აღარ ერიდებიან“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი თეონა აქუბარდია პასუხობს.**

***– თეონა, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა ოთხ ქართველ მოსამართლეს სანქციები დაუწესა. მათ ეკრძალებათ ამერიკაში შესვლა. როგორია თქვენი შეფასებები? ლევან მურუსიძე აცხადებს, რომ ეს სასამართლო სისტემის ხელში ჩაგდებისა და მიტაცების მცდელობაა ამერიკის მხრიდან. რას იტყვით ამ ყველაფერზე?***

– ვფიქრობ, რომ საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ოთხი მოსამართლის სანქცირებას, რომლებიც კლანს უდგანან სათავეში და, რომელიც ჩვენს მოსახლეობას ახსოვს განსაკუთრებით, როდესაც მურუსიძეზე ვლაპარაკობთ, გირგვლიანის დროიდან. გირგვლიანის საქმის მოსამართლე იყო ის და, სამწუხაროდ, ამ ხელისუფლებამ მხოლოდ კი არ გადმოიბარა წინა ხელისუფლების მოსამართლეები, არამედ მათგან შექმნა კლანი, რომელიც ძალაუფლების შენარჩუნებისთვის არის საჭირო და შექმნა კორუფციული, ისეთი მართვის მექანიზმი, როდესაც მართლმსაჯულების სისტემა ერთი ოლიგარქის ხელშია.

***– ეს არის რეაქცია კლანურ მმართველობაზე?***

– დიახ. შეერთებული შტატები საქართველოს ეხმარებოდა მართლმსაჯულების ისეთი სისტემის შესაქმნელად, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა დამოუკიდებელ სასამართლოზე, მოქალაქეების ინტერესებზე და ამ შემთხვევაში დემოკრატიისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

ვნახეთ ჩვენ ოთხი ტალღა ამ რეფორმის, მნიშვნელოვანი დახმარება შეერთებული შტატების მხრიდან. თუმცა, მთელი ამ დახმარებისა და ამდენი მცდელობისა, პოლიტიკურ ინსტრუმენტად არის მართლმსაჯულება „ქართული ოცნების“ ხელში. შესაბამისად, ეს ნაბიჯი არა მხოლოდ ამ ოთხი მოსამართლისკენ არის მიმართული, არამედ არის გაფრთხილება, ხელისუფლების, რომ შეერთებული შტატები უდგას საქართველოს დემოკრატიას, ქართველ ხალხს სადარაჯოზე და ეს არის აქ მთავარი, მიუხედავად იმ ანტიამერიკული თავდასხმებისა, რომელსაც ჩვენ გუშინდელიდან მოყოლებული ვუყურებთ „ქართული ოცნების“ ლიდერების მხრიდან...

***– რას ნიშნავდა ირაკლი კობახიძის განცხადება, სატელეფონო ჩანაწერები გვაქვსო? ახლა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს აშანტაჟებენ?***

– წარმოუდგენელი რამე იყო ირაკლი კობახიძის განცხადება არა მარტო ბლინკენთან დაკავშირებით, რომ ის შეცდომაში შეიყვანეს და ბოდვა კორუფციაზე, ყველაზე მძიმე აქ იყო შანტაჟის ენით საუბარი სტრატეგიულ მოკავშირესთან, რომ ისინი რაღაც ჩანაწერებს გამოუქვეყნებენ. ასეთი რამ რუსეთსაც კი არ უკადრია, სადაც ჩანაწერები და ასეთი შანტაჟი ჩვეულებრივ ფორმადაა მიღებული. იმდენად შეშინებულია „ქართული ოცნება“ და იმდენად აგონიაშია, რომ ისინი ასეთი ტიპის შანტაჟსა და მუქარასაც კი აღარ ერიდებიან სტრატეგიული პარტნიორის წინააღმდეგ. შევახსენებ, ვისზეა ლაპარაკი, შეერთებულ შტატებზე, რომელიც არის ყველაზე ძლიერი ქვეყანა და რომელზეც დგას ჩვენი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის საკითხი. აქ მარტო ამერიკის სიძლიერეზე ხომ არ ვლაპარაკობთ? არამედ იმაზე, რომ სწორედ ის არის მთავარი გარანტია ჩვენი უსაფრთხოებისა და ჩვენი ტერიტორიული მთლიანობისა.

***– მართლმსაჯულება და სამართლიანობა ძალიან მნიშვნელოვანია და ალბათ სწორედ ამიტომ დაიწყეს მოსამართლეებით და არა პოლიტიკოსებით.***

– რა თქმა უნდა. ჩვენ როდესაც ვლაპარაკობთ ქვეყნის დემოკრატიულად განვითარებაზე, ეს კონსტიტუციური ჩანაწერია, რაც ხალხის არჩევანია. ვერ გახდება საქართველო ვერც ევროკავშირისა და ვერც ნატოს წევრი, თუ მართლმსაჯულება იქნება მიტაცებული. არა პოლიტიკოსებით, არამედ მოსამართლეებით სანქციების დაწყება არის გზავნილი, რომ ისინი დემოკრატიის სადარაჯოზე არიან და ნებისმიერზე, ვინც დემოკრატიის წინააღმდეგ მოქმედებს, უკვე არა მხოლოდ განცხადებები გავრცელდება, არამედ კონკრეტულ ქმედებებზე გადავიდა ამერიკა. ჯერ მხოლოდ ვიზები შეუზღუდეს, თუმცა, ჩვენ ხომ გვესმის, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია.

***– რა გაგრძელებას ელოდებით? ვისმენთ შეფასებებს, რომ კუთხეში მიმწყვდეული ხელისუფლება, შესაძლოა, უფრო საშიში გახდეს. პროცესების როგორ განვითარებას ელით?***

– ჩვენ წლებია ვხედავთ და განსაკუთრებით კი ბოლო ერთი წელია, როგორ პირდაპირ კავშირშია „ქართული ოცნების“ პროპაგანდა კრემლთან. ამას ჰაერზე არ ვლაპარაკობ. დღეს ჩვენ კრემლიდან ვნახეთ განცხადება მეორე ფრონტთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოსა და დასავლეთის ზეწოლის კუთხით არის გამოყენებული, რომ საქართველომ, ფაქტობრივად, აღიაროს ცხინვალისა და აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობა. ამ მოცემულობაში ირაკლი კობახიძის განცხადებაში, რომელიც არის ავტორი რუსული პროპაგანდისა და რომელ პროპაგანდასაც კრემლი იყენებს საქართველოს წინააღმდეგ, მკვეთრად ჩანს, რომ „ქართული ოცნებისთვის“ არა საქართველო, არა ქართველი ხალხი, არამედ ძალაუფლების შენარჩუნებაა მთავარი. აქ უნდა ვიყოთ ძალიან აქტიურები იმისთვის, რომ არ მივცეთ შესაძლებლობა „ქართულ ოცნებას“, ბოლომდე მიიტაცოს სახელმწიფო. ეს ანტიდასავლური რიტორიკა და შანტაჟის ენით საუბარი, რა თქმა უნდა, ძალიან საფრთხის შემცველია იმ ფონზე, როდესაც კრემლი გამოესარჩლა „ქართულ ოცნებას“ დღევანდელი განცხადებით.

***– რამდენად სახიფათო სიტუაციაა? ხომ შეიძლება, კიდევ მეტად შეეკრას რუსეთს „ქართული ოცნება“?***

– რა თქმა უნდა. ამის რეალური მოცემულობა არსებობს. ეს ნათლად გამოჩნდა კრემლის განცხადებითაც. აქტიური სამოქალაქო საზოგადოება უნდა შევეწინააღმდეგოთ ხელისუფლებას, რომ მათ არ გადაიყოლონ ქვეყანა იმ თამაშში, რომელსაც ჰქვია ძალაუფლების შენარჩუნება.

***– თქვენი აზრით, სანქციები პოლიტიკოსებზეც გაგრძელდება, განსაკუთრებით კი მთავარ ოლიგარქს თუ შეეხება?***

– მე არ გამოვრიცხავ არა მხოლოდ მთავარი ოლიგარქის სანქცირებას იმ შემთხვევაში, თუ ესენი ასე გააგრძელებენ, მათ შორის ეს ამოქმედდეს პოლიტიკოსების წინააღმდეგ და ეს იქნება გარდაუვალი. სანქციის მიზანი ამ შემთხვევაში არ არის რომელიმე მოსამართლის დასჯა. სანქციის მიზანი არის გაფრთხილება. გაფრთხილება მათთვის, რომ ხელი აილონ მართლმსაჯულების მიტაცებაზე. თუ ეს გაფრთხილება არ იქნება გათვალისწინებული „ქართული ოცნების“ მხრიდან, ეს სანქციები შეეხებათ როგორც ბიძინა ივანიშვილს, ისე ირაკლი კობახიძესა და დანარჩენებს, რომლებიც აშორებენ ქვეყანას იმ კონსტიტუციურ მომავალს, რომელიც ხალხს აქვს არჩეული.



***– ანუ მნიშვნელოვანი და თან სახიფათო პროცესები გველის?***

– ჩვენ გუშინ მოვისმინეთ ევროპარლამენტის განცხადება, სადაც ითქვა, რომ საქართველო ახლა არის გზაგასაყარზე და, როგორც წესი, ასეთი განცხადებები ტყუილად არ კეთდება. დიახ, გზაგასაყარზე საქართველო მიიყვანა „ქართულმა ოცნებამ“. აქეთ არის დასავლეთი და მეორე მხარეს დგას ოკუპანტი რუსეთი, რომელსაც სურს საქართველოს დაბრუნება თავის ორბიტაზე. აი, ასეთ სიტუაციაში „ქართულ ოცნებას“, ძალაუფლების შენარჩუნების სანაცვლოდ, სწორედ რუსული ორბიტისკენ მიჰყავს ქვეყანა. ამ მოცემულობაში მთავარი ძალა არის ხალხი, რომელიც უნდა შეეწინააღმდეგოს და დაუპირისპირდეს. ვხედავთ, რომ დასავლელი პარტნიორები სწორედ ხალხის გვერდში არიან და არა რომელიმე პოლიტიკური პარტიის. ეს ბრძოლა უნდა დასრულდეს ხალხის გამარჯვებით, რაც, ვფიქრობ, ასე იქნება. თუმცა საკმაოდ რთულ სიტუაციაში შეიყვანა „ოცნებამ“ ქვეყანა, არ გამოვრიცხავ, რომ რუსეთიდან დამატებითი პროვოკაციებიც იყოს, რის ნიშანიც უკვე არის და ამ პროვოკაციებში „ქართული ოცნება“ დადგეს კრემლის მხარეს. ძალიან დიდი სიფრთხილითა და ერთიანობით უნდა დავუპირისპირდეთ მცდელობას, რომ საქართველო ჩამოაშორონ დასავლურ ორბიტას და სწრაფვას ნატოსა და ევროკავშირში წევრობისთვის.

# „ამერიკა აღარ გაჩერდება. ეს პროცესი ნელ-ნელა ივანიშვილამდეც მივა“

## ვახტანგ ძაბირაძე: „ქართული ოცნებისთვის“ ახლა გამოსავალი ვადამდელი არჩევნებია“



**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

ნათია ხურცილავა

***– ბატონო ვახტანგ, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ოთხი მოსამართლის სანქცირება, როგორც ჩანს, რეაქციიდან გამომდინარე მაინც მოულოდნელი იყო. ეს პროცესი შეიძლება გაგრძელდეს?***

– სიმართლე გითხრათ, ჩემთვისაც მოულოდნელი იყო, მაგრამ, ვერ ვიტყვი, რომ ხელისუფლებისთვისაც მოულოდნელი იყო. ალბათ, იქნებოდა მაღალ დონეზე გარკვეული გაფრთხილება, კონსულტაციები, მაგრამ არ დაიჯერეს, ბოლომდე მაინც არ უშვებდნენ.

რაც შეეხება მოსამართლეების მურუსიძისა და სხვათა კომენტარებს, ნამდვილად არის ემოციური. როგორც ჩანს, მათთვის მართლაც მოულოდნელი და დაუჯერებელი იყო. უცებ აღმოჩნდნენ ფაქტის წინაშე, ამიტომაც აქვთ ასეთი რეაქცია.

***– ელჩმა დეგნანმაც აღნიშნა, ძალიან ემოციურად მიიღესო, თუმცა, მან თქვა, რომ კონკრეტული კორუფციის ფაქტები აქვთ. შეიძლება გამოაქვეყნონ?***

– არა მგონია, რომ გამოაქვეყნონ, მაგრამ, თუ გამოაქვეყნებენ, ეს იქნება კატასტროფა.

***– კატასტროფა ვისთვის, სახელმწიფოსთვის?***

– პირველ რიგში ხელისუფლებისთვის. რასაკვირველია, სახელმწიფოსთვისაც უბედურებაა, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ზიანი „ქართულ ოცნებას“ მიადგება. საგარეო საქმეთა მინისტრმა დარჩიაშვილმა მინისტრ ბლინკენს წერილი მისწერა, კონკრეტული ფაქტები წარმოგვიდგინეთო, მაგრამ, არა მგონია, ამაზე სახელმწიფო დეპარტამენტი წავიდეს. შეიძლება ხელისუფლება ძალიან მძიმე დღეში აღმოჩნდეს. თუმცა, თუ ამ ტონში გაგრძელდა საუბარი და მოთხოვნები, არც ის არის გამორიცხული, რომ გაასაჯაროონ.

ამ ქვეყანაში, რაც თავი მახსოვს, კორუფციაა. ვერავინ ვერ შეძლო მისი დამარცხება. სააკაშვილის დროს საყოველთაო კორუფცია ქვედა დონეზე კი მოისპო, მაგრამ ელიტური კორუფცია ჩამოყალიბდა, რამაც ძალიან მყარად გაიდგა ფესვები. მე რომ მითხრან, კონკრეტული ფაქტი მოიტანე, შეიძლება ვერ მოვიტანო, მაგრამ საელჩოს ეს ინფორმაცია აქვს და თან – კარგად გადამოწმებული. ამიტომაც მიიღეს მათ სანქცირების გადაწყვეტილება.

***– შეიძლება ეს პროცესი გაგრძელდეს უკვე პოლიტიკოსებით?***

– რასაკვირველია, ეს სავსებით არის შესაძლებელი. რატომღაც მგონია, რომ რადგან პირველი ნაბიჯი გადაიდგა, ეს პროცესი არ შეჩერდება, გაგრძელდება სწორედ პოლიტიკოსებით. აშკარად ჩანს, რომ სერიოზულად არის ნამუშევარი. ყველა დეტალი და ყველა ინფორმაცია აქვს სახელმწიფო დეპარტამენტს აქ მიმდინარე ყველა პროცესზე. ეს არ უნდა იყოს ახალი ამბავი ხელისუფლებისთვის. ეს პროცესი ნელ-ნელა მივა ივანიშვილამდეც და მოხდება მისი ოლიგარქად კურთხევა და სანქციების დაწესება. თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ საქმე სანამ აქამდე მივა, ივანიშვილმა მოვლენებს დაასწროს.

***– როგორ?***

– სასწრაფო წესით იმოქმედოს, „ქართული ოცნების“ გუნდი გამოცვალოს და დანიშნოს ვადამდელი არჩევნები. სიმართლე გითხრათ, ამ ვერსიას ვუშვებდი ევროკავშირის სტატუსის ვერმიღების შემთხვევაში, იმ შემთხვევაში, როდესაც „ოცნება“ ვერ შეძლებდა 12-პუნქტიანი რეკომენდაციის შესრულებას. თუმცა, ამ ფაქტის შემდეგ რა რას დაასწრებს, უკვე რთული სათქმელია. არ არის მარტივი მოცემულობა.

***– შეიძლება სახელმწიფო დეპარტამენტში ხელისუფლებიდან ვიზიტიც დაინიშნოს?***

– არ არის გამორიცხული, მაგრამ ეს რას შეცვლის?! არა მგონია, დაუჯერონ. ამერიკის შეერთებული შტატები უკვე უკან აღარ დაიხევს. ამიტომ ახლა გამოსავალს ხელისუფლება ვადამდელ არჩევნებში ხედავს, რომ ახალი ლეგიტიმაცია მოიპოვოს. ზუსტად იგივე გააკეთა 2007 წელს მიხეილ სააკაშვილმა, 7 ნოემბრის დარბევის შემდეგ რიგგარეშე არჩევნები დანიშნა და და ხელახალი ლეგიტიმაცია მოიპოვა.

თუ ახლა „ქართული ოცნება“ რიგგარეშე არჩევნებს დანიშნავს, მართალია, არჩევნები კრიზისის ფონზე ჩატარდება, მაგრამ ჩატარდება მოქმედი კანონმდებლობით, რაც ხელს აძლევს, რომ ხელისუფლება კვლავ მოიპოვოს და მთავრობა დააკომპლექტოს. ოპოზიცია კი ამ დროში ვერაფერს მოასწრებს. მგონია, ამაზე ითამაშებს ივანიშვილი. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ 2024 წელს არ იქნება არჩევნები.

# „უნდა გავხდეთ დასავლეთის სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური ნაწილი“

## „იმისათვის, რომ უკრაინელებმა, ქართველებმა, ბელარუსებმა, მოლდოველებმა თავი გადავირჩინოთ, რუსეთის გენოციდური განზრახვებისგან დაცული უნდა ვიყოთ“

**იმ დროს, როცა საქართველოში ანტიდასავლური ატრაქციონი გრძელდება, საკვანძო მოვლენები ვითარდება მსოფლიოში. აგრესორმა რუსეთმა, მრავალი მუქარის მიუხედავად, ვერაფერი ილონა ნატოს გაფართოების წინააღმდეგ. რამდენიმე დღეა, რაც ფინეთი ნატოს 31-ე წევრი გახდა. ფინეთის შესვლა ალიანსში რუსეთისთვის დრამატულია იმის გათვალისწინებითაც, რომ ფინეთს რუსეთის ფედერაციასთან 1340-კილომეტრიანი საზღვარი აქვს.**

**საქართველოში ერთ-ერთ მთავარ თემად „მეორე ფრონტი“ და „უკრაინიზაციის“ მცდელობაში დასავლეთის აბსურდული დადანაშაულება რჩება. იმავდროულად, პუტინის (მის მიმართ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ დაპატიმრების ორდერი 17 მარტს გასცა) მიმართ კრიტიკული განწყობა და პროტესტი იზრდება, მათ შორის, რუსეთშიც. ფედერალური დაცვის სამსახურის კაპიტნის, კარაკულოვის ინტერვიუმ ეს დაადასტურა. კარაკულოვი, რომელმაც რუსეთი 2022 წლის ოქტომბერში დატოვა, დღეს აცხადებს, რომ პუტინი სამხედრო დამნაშავეა.**

**ფინეთის ნატოში შესვლაზე, პუტინის განზრახვების ჩაფუშვაზე, უკრაინის, საქართველოსა და რუსეთისგან დაჩაგრული და დაპყრობილი სხვა ქვეყნების მდგომარეობასა და პერსპექტივებზე ბელარუსის თავისუფალ მედიას ესაუბრა უკრაინელი დიპლომატი და პოლიტოლოგი ალექსანდრ ხარა.**



მარიამ მჭედლიშვილი

*– რით შეუძლია რუსეთის ფედერაციას, უპასუხოს ჰელსინკის გადაწყვეტილებას ნატოში შესვლაზე?*

– ფინეთის, შემდგომში კი შვედეთის შესვლას ნატოში რუსეთი ვერაფრით უპასუხებს. ის ახლა უკრაინას ეომება. მან დაკარგა ყველაზე ბრძოლისუნარიანი ადამიანები და ტექნიკა. რუსეთის პროპაგანდა მუდმივად გაიძახის, რომ ისინი ნატოს გაფართოების წინააღმდეგი არიან. არადა, ვხედავთ, რომ კრემლი ვერაფერს აკეთებს – რუსეთი არ დასხმია თავს ფინეთს. კიდევ ერთი მომენტია – შეიარაღებისა და საჰაერო დაცვის სისტემების უმრავლესობა, რომლებიც ფინეთის საზღვარზე იყო განლაგებული, გადატანილია უკრაინაში.

ფინეთი ის ქვეყანაა, რომელზეც რუსეთი კბილებს წაიმტვრევდა, ნატოშიც რომ არ შესულიყო. ახლა ის ალიანსის წევრია და მისი საბრძოლო პოტენციალი უფრო გაიზრდება.

*– ომამდე პუტინი მოითხოვდა, რომ ნატო დაბრუნებულიყო 1997 წლის საზღვრებში. კრემლის მოქმედებების შედეგად ნატო მხოლოდ გაფართოვდა. როგორ აუხსნიან რუსი პროპაგანდისტები ამ ჩავარდნას საკუთარ მოქალაქეებს?*

– ვფიქრობ, რომ რამეს მოიფიქრებენ. ყველაზე მთავარი ისაა, რომ ნატო არასდროს დამუქრებია რუსეთს. ეს ალიანსი შეიქმნა იმისათვის, რომ დახმარებოდა ევროპის სახელმწიფოებს, შეწინააღმდეგებოდნენ კრემლის ექსპანსიონისტურ გეგმებს. იყო დაპირისპირება, მაგრამ არ ყოფილა ის აგრესიული რაობა, რასაც საბჭოთა სკოლებსა და ინსტიტუტებში ნატოზე ავრცელებდნენ. ეს იყო აბსოლუტური პროპაგანდა. დრომ ეს გამოააშკარავა. ახლა ვაკვირდებით „რუსული სამყაროს“ ფიურერის განცხადებას იმის თაობაზე, რომ ის განალაგებს ბირთვულ იარაღს უმცროსი ფიურერის ტერიტორიაზე. ამას იმით ხსნიან, რომ ბრიტანეთი უკრაინას აძლევს ურანიან ჭურვებს. სინამდვილეში, ეს არანაირი ბირთვული იარაღი არ არის. რუსეთის მხრიდან ეს იყო „ლექცია კოლმეურნეებისათვის“.

რუსები აშშ-ის მხრიდან ევროპაში იარაღის განთავსებაზეც ლაპარაკობენ. არადა, აშშ ამას არ აპირებს მაშინაც კი, თუ ბელარუსის ტერიტორიაზე ბირთვულ იარაღს განალაგებენ. ამერიკელები ევროპაში ახალი იარაღის (არც ბირთვულის, არც არაბირთვულის) განთავსებას არ გეგმავენ. იარაღი, რომელიც დიდი ხანია განთავსებულია ევროპაში, საკმარისია რუსეთის ფედერაციის შესაკავებლად, ომის შემთხვევაში კი – მის დასამარცხებლად. ამიტომ რუსეთის გადაწყვეტილება არ მუშაობს.

პუტინი ამბობს, ამერიკელებიც იმავეს აკეთებენო. ესეც ყურით მოთრეული საგანია. აშშ-ის ბირთვული იარაღი ევროპაში ჯერ კიდევ ხრუშჩოვის დროს იყო.

რუსეთი ღია შანტაჟს ეწევა. ამას აქვს პოლიტიკური შემადგენელი – ბელარუსსა და ლუკაშენკოზე კონტროლის გაძლიერება. მე ვიტყოდი, რომ ბირთვული იარაღის განლაგება ბელარუსში – ეს ლუკაშენკოს იდიოტიზმია. შარშან თებერვალში (ფორმალური რეფერენდუმით) ბელარუსის კონსტიტუციიდან ამოიღეს მუხლი არაბირთვული სახელმწიფოს სტატუსის შესახებ. ეს ყველაფერი უბრალოდ არ მომხდარა. ბირთვულ იარაღზე გადაწყვეტილება მანამდე იყო მიღებული.

*– ომის დაწყების შემდეგ დისკუსიები დაიწყო იმაზე, რომ შესაძლებელია რეგიონული კავშირების შექმნა. მაგალითად, დაანონსდა დიდი ბრიტანეთის, პოლონეთისა და უკრაინის კავშირი. უკრაინის მომავალი ნატოშია თუ შესაძლებელია სხვა კონფიგურაციები?*

– მშვიდობიანი, თავისუფალი და ერთიანი ევროპის ფორმულის მომხრე ვარ. ის ითვალისწინებს იმას, რომ უკრაინა, ბელარუსი, მოლდოვა და საქართველო ხდებიან ნატოს წევრები. პუტინს „აგრესიული ნატო“ კი არ აღელვებს, მას აშინებს სხვა ტერიტორიების დაპყრობის, გავლენის გაფართოების შეუძლებლობა.

იმისათვის, რომ უკრაინელებმა, მოლდოველებმა, ქართველებმა, ბელარუსებმა თავი გადავირჩინოთ, რუსეთის გენოციდური განზრახვებისაგან დაცული უნდა ვიყოთ. რუსეთს ასეთი განზრახვები რომ აქვს, ომის დროს დადასტურდა. პუტინს ეს არაერთხელ განუცხადებია. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიაც, როგორც „ფსბ“-ს ქვედანაყოფი, მუდმივად იმეორებს, რომ „არ არსებობს ასეთი სახელმწიფო – უკრაინა“, რომ „ის, ვინც ომში მიდის და უკრაინელებს ხოცავს, მოხვდება მართლმადიდებლურ მოსკოვის სამოთხეში“.

ჩვენ ყველანი უნდა გავხდეთ დასავლეთის სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური ნაწილი. სანამ ეს მოხდება, მანამდე უნდა განვავითაროთ თანამშრომლობა დიდ ბრიტანეთთან, ბალტიის ქვეყნებთან, პოლონეთთან, რუმინეთთან.

# მიხეილ ყაველაშვილი: „არიან რიგი მოსამართლეები, ე.წ. აგენტებს დავარქმევდი“

– სასამართლო სისტემაში არიან რიგი მოსამართლეები, ე.წ. აგენტებს დავარქმევდი, ვისი საშუალებითაც უნდათ, არიონ სიტუაცია, დაახლოებით 20-მდე მოსამართლეა, რომლებიც ტრენინგებზე მიჰყავთ, – ამის შესახებ უმრავლესობის წევრმა, „ხალხის ძალის“ წარმომადგენელმა მიხეილ ყაველაშვილმა ჟურნალისტებთან განაცხადა.



მისი თქმით, სანქციებით სურთ, დეზორგანიზაცია გამოიწვიონ სასამართლო სისტემაში.

– პირველი იყო ნედ პრაისი, რომელმაც მონათლა ეს კანონი რუსულად. კულუარული ინფორმაცია მქონდა, რომ „ჩვენ ამ კანონს დავარქმევთ რუსულს, ხალხს მივაწვდით, რომ ეს არის რუსული კანონი, ასე ვიმოქმედებთ“ და ფაქტობრივად ვერაფერი ვერ შევძელით, შევძელით ის, რომ დღესაც ვაგრძელებთ ინფორმაციის მიწოდებას, რომ ამ კანონს არაფერი საერთო არ აქვს რუსულთან.

ახლა ჩნდება ფაქტები, რომ ეს იყო მიზანმიმართული სპეცოპერაცია საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ, როგორც ახლა სანქციების საკითხის მიმართულებაა, რომ დეზორგანიზაცია გამოიწვიონ დამოუკიდებელ სასამართლო სისტემაში. არის იქ რიგი მოსამართლეები ე.წ. აგენტებს დავარქმევდი, ვისი საშუალებითაც უნდათ არიონ სიტუაცია, დაახლოებით 20-მდე მოსამართლე, რომლებიც ტრენინგებზე მიჰყავთ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გარეშე ხდება ამ მოსამართლეების წაყვანა საზღვარგარეთ, ტრენინგების ჩატარება, მომზადება და უნდათ 20 მოსამართლით გამოიწვიონ ვნებათაღელვა სასამართლო სისტემაში. ჩხიკვაძის ფაქტი გახსოვთ, რომელიც დაიბარეს პირდაპირ და შემდეგ თითქმის დაასანქცირეს და სიიდან ამოიღეს. ეს რას ნიშნავს, ამაზე თვალებს ვერ დავხუჭავთ, თუ ჩვენ სუვერენული ქვეყანა ვართ, ვალდებულება გვაქვს, რომ ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტი და ღირსება უნდა დავიცვათ, – განაცხადა ყაველაშვილმა.

ყაველაშვილმა ისაუბრა აშშ-ის მოქალაქე ჯეიმსონ მარშალ ქომინსის ქვეყანაში არშემოშვებაზეც და აღნიშნა, რომ სუს-ის გადაწყვეტილებით კმაყოფილია.

მისი თქმით, პარტნიორი ქვეყანა აშშ და მისი წარმომადგენელი აქ გეგმავს რადიკალურ, რევოლუციურ ქმედებებს.

– მე აღვნიშნე, მგონი, ჩემს გამოსვლაში ლილუაშვილის პასუხთან დაკავშირებით კმაყოფილება. ვალდებულიც არის მსგავსი საქციელი განახორციელოს. პარტნიორი ქვეყანა აშშ და მისი წარმომადგენელი, რომელიც აქ გეგმავს რადიკალურ, რევოლუციურ ქმედებებს და ჩართულია რადიკალური ჯგუფების მომზადებაში.

იმ ახალგაზრდებს, რომლებიც თითქოს გულწრფელად იდგნენ, რაღაცას აპროტესტებდნენ, მინდა მივმართო: რა თქმა უნდა, ჩვენი მოქალაქეების უმრავლესობა, თუ საკითხს ასე დააყენებთ – „რუსეთი გვინდა თუ ევროპა“, მარტივად გასაცემი პასუხია – რა თქმა უნდა, ყველას ევროპა გვინდა.. მაგრამ, როცა სპეციალურად დაგეგმავ სპეცოპერაციას, რომ ასე დაარქვა სახელი და უშლი, კანონის ინცირება გააკეთო, მსჯელობა იყოს და თავად გაიგრნ მოქალაქეებმა, რაზეა საუბარი, რომ ნუთუ მართლა რუსულია, რა აქვს რუსული, რომ შეადაროს, ამის საშუალებას რომ არ აძლევ მოქალაქეებს□პირდაპირ ასეთი გზავნილით, არის სპეცოპერაცია დაგეგმილი.

ადამიანი, რომელიც ჩამოსული იყო და ასე დაგეგმეს პროცესი, რომ ასე დაეყენებინათ საკითხი – რუსეთი თუ ევროპა, გამოიყვანეს ხალხი, რა თქმა უნდა, იქნება ჩემზე აგრესია. დამარქმევენ, რომ ყაველაშვილს რუსული კანონი შემოაქვს და რუსეთისკენ უნდა საქართველო წაიყვანოს და დაღუპოს ქვეყანა. რა თქმა უნდა, აგრესია მივაერთო იქნება და ეს განხორციელდა კიდეც. მოგვნათლეს მოღალატეებად. ეს არის ზუსტად სამოქალაქო დაპირისპირება გამოწვეული, რისთვის ამას პასუხი აქვს – აქ მიზანმიმართულად ხდება და სანქციებიც ამას ემსახურება, რომ როგორმე მოხდეს ამ ხელისუფლების ცვლილება და მოვიდეს გლობალური ომის პარტია რასაც დავარქვით იმ ძალის შესაბამისი ძალა, მონობა ეს არის. იმ საზოგადოებას მინდა მივმართო, ქომინსის დატრენინგებული ახალგაზრდების დაძახილზე რომ გამოხვალ და არც იკითხავ, მსჯელობაშიც არ შეხვალ, რომ ნუთუ მართლა ეს კანონი რუსულია და ამის საფუძველზე რომ შეგიძლია ხელისუფლება გადააბრუნო, ჩვენ გავიარეთ რამდენიმეჯერ, სამოქალაქო ომი გვქონდა, ეს ყველაფერი ამას ემსახურება. ხომ უნდა იკითხო, საიდან რა დავალება მოდის, – განაცხადა ყაველაშვილმა.

# ირაკლი შენგელია: „აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა და ელჩმა დეგნანმა ლინჩის წესი აღადგინეს“

– პირადად მე მაქვს ტრადიციული ოჯახი, მყავს შვილები, რომლებიც სამართლიანობისა და პატიოსნების პრინციპებზე აღიზარდნენ და ამ „ლინჩის წესით გასამართლების“ ფონზე და ასევე იმის გათვალისწინებით, რომ აშშ-ში ბოლო პერიოდის ერთ-ერთ მთავარ დემოკრატიულ მიღწევად მიჩნეულია და აპრობირებულია 6 წლის ასაკიდან ბავშვისათვის სქესის შეცვლა, არაფერი მესაქმება, ვინაიდან მსგავსი „ღირებულებები“ ჩემს ოჯახს ნამდვილად არ სჭირდება, – ამის შესახებ მოსამართლე ირაკლი შენგელია „ფეისბუქზე“ წერს, რითაც ეხმაურება აშშ-ის მიერ ოთხი მოსამართლის, მათ შორის მის მიმართ სანქციების დაწესებას.

შენგელიას თქმით, დღევანდელ მოცემულობაში, ნამდვილად არანაირი სურვილი აღარ აქვს არც მას და არც მის ოჯახს, ეწვიონ აშშ-ს.

მისი შეფასებით, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა და ელჩმა კელი დეგნანმა „ლინჩის წესი“ აღადგინეს.

– მსურს გამოვეხმაურო აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის გადაწყვეტილებას ჩემზე და ჩემს კოლეგებზე სანქციის დაწესების შესახებ.

უპირველეს ყოვლისა, თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ ეს უპრეცედენტო გადაწყვეტილება ვერანაირ მტკიცებულებით სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს; მე განმარტება ამის შესახებ ვერც სახელმწიფო მდივან ბლინკენისგან და ვერც ელჩ დეგნანისგან მოვისმინე, გარდა ზოგადი მითითებისა, რომ არსებობს რაღაც „სანდო ინფორმაცია“, რომელიც თურმე ადასტურებს ჩვენს კორუმპირებულობას.

ასეთი მტკიცებულებები ბუნებაში ვერც იარსებებს, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ კორუფციის ფაქტები არ არსებობს. მეც და ჩემი სხვა კოლეგები (დასანქცირებულების ჩათვლით) ჩვენს სამსახურებრივ უფლებამოსილებას (მართლმსაჯულების განხორციელების ჩათვლით) ვასრულებდით და ვასრულებთ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის განუხრელი დაცვით, მხოლოდ საქმეში არსებული მტკიცებულებების სრულყოფილი და ობიექტური განხილვა-შეფასების შედეგად. არავითარი ზეწოლა, უკანონო მანიპულაცია არ განხორციელებულა არასდროს არც ჩემი და არც არავის მხრიდან სხვა მოსამართლეებზე, მათ საქმიანობაში ჩარევის მიზნით.



ეს ყველაფერი მაფიქრებინებს, რომ სახეზეა აპრობირებული სქემა, რომელმაც კარგად იმუშავა, მაგალითად, უკრაინაში, ალბანეთში, სადაც, „რეფორმების“ შირმით, განხორციელდა არასასურველი მოსამართლეებისაგან სისტემის წმენდა, სადაც ხელყოფილ იქნა სახელმწიფოების სუვერენიტეტი სასამართლო ხელისუფლების ნაწილში და ამ ხელისუფლების ადმინისტრირება (მოსამართლეთა დანიშვნების ჩათვლით) მთლიანად გადაბარებულ იქნა ე.წ. საერთაშორისო ექსპერტებისგან დაკომპლექტებულ „რევიზორთა“ კომისიაზე.

დღევანდელ მოცემულობაში, ნამდვილად არანაირი სურვილი აღარ გვაქვს არც მე და არც ჩემს ოჯახს, ვეწვიოთ აშშ-ს. ის იდეალები და დემოკრატიული პრინციპები, რითაც აქამდე თავს იწონებდა ეს ქვეყანა, პრაქტიკულად ნიველირებულია, აღარ არსებობს. პირიქით, გამრუდებული და დაკნინებულია ყველა ის ღირებულება, რაზეც იდგა ამ ქვეყნის იდეოლოგია და, პირველ რიგში, ეს იყო სამართლიანობა და მის საფუძველზე ადამიანის უფლებების შეუვალი დაცვა, თანასწორუფლებიანობა და ა.შ. ყველაფერ ამაზე ხაზის გადასმით, გუშინდელი განცხადების ფონზე, პრაქტიკულად აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა და ელჩმა დეგნანმა ლინჩის წესი აღადგინეს (ცხადია, გადატანითი მნიშვნელობით) და სწორედ ამ წესით „გაასამართლეს“ და „დამნაშავეებად გამოაცხადეს“ ქართველი მოსამართლეები, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მათ „მაღალ დემოკრატიულ სტანდარტებზე“.

ცნობისთვის, აშშ მიხეილ ჩინჩალაძეს, ლევან მურუსიძეს, ირაკლი შენგელიასა და ვალერიან ცერცვაძეს სანქციებს უწესებს.

ქართველი მოსამართლეების სანქცირების შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი განცხადებას ავრცელებს.

სახელმწიფო მდივნის განცხადების თანახმად, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი მიხეილ ჩინჩალაძის, ლევან მურუსიძის, ირაკლი შენგელიასა და ვალერიან ცერცვაძის საჯარო სანქცირებას ახდენს, ვიზის აკრძალვის შესახებ 7031(ც) წესის საფუძველზე, მნიშვნელოვან კორუფციულ საქმიანობაში მათი ჩართულობის გამო.

როგორც განცხადებაში ბლინკენი განმარტავს, აღნიშნულმა პირებმა ბოროტად გამოიყენეს მათი თანამდებობა როგორც სასამართლოს თავმჯდომარეებმა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა, რითაც ზიანი მიაყენეს სამართლის უზენაესობასა და საზოგადოების ნდობას საქართველოს სასამართლო სისტემის მიმართ.

## სოფელ ბერშუეთში საგუშაგოზე მყოფ სამართალდამცავებზე თავდასხმის ბრალდებით დაკავებულებს აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეეფარდათ

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერშუეთში შსს-ს თანამშრომლებსა და ადგილობრივებს შორის მომხდარი დაპირისპირებისას დაკავებულთაგან ორ პირს გორის რაიონულმა სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.



დაკავებულებს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს პოლიციელებზე თავდასხმას ედავებიან.

ცნობისთვის, შემთხვევა ორი დღის წინ მოხდა. საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ ბერშუეთში არსებულ საგუშაგოზე დისლოცირებულმა სამართალდამცავებმა ავტომობილით მოძრავ მოქალაქეს ანიშნეს, რომ სატრანსპორტო საშუალება გაეჩერებინა. პირის მხრიდან დაუმორჩილებლობას უთანხმოება მოჰყვა. დაპირისპირებაში თანასოფლელებიც ჩაერთნენ, რაც, საბოლოო ჯამში, შსს-ს თანამშრომლებსა და სოფლის მცხოვრებთა ერთ ნაწილს შორის ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

2 პირი დაკავებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით, რაც პოლიციელზე თავდასხმას გულისხმობს სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ასევე 2 პირი დაკავებულია საქართველოს სსკ-ის 173-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, პოლიციელის, კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ან ამ პირის სიტყვიერი შეურაცხყოფა ან/და მის მიმართ სხვა შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელებას გულისხმობს და დანაშაული ჯარიმას, ან 15 დღემდე ვადით ადმინისტრაციულ პატიმრობას ითვალისწინებს.

სსკ-ის 353-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით ბრალდებულების ინტერესებს ადვოკატი ნოდარ ცინცაძე იცავს. როგორც ცინცაძემ „ინტერპრესნიუსს" განუცხადა, მისი დაცვის ქვეშ მყოფები სსკ-ის 353-ე პრიმა მუხლით წაყენებულ ბრალს არ აღიარებენ და ამბობენ, რომ ადგილი ჰქონდა ჩხუბს, რომელიც პოლიციელების სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული არ ყოფილა.

ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი პირები – 40 და 44 წლის მამაკაცები მომხდარის გამო ბოდიშს იხდიან. ეს სასამართლო პროცესზეც განაცხადეს, თუმცა არ ეთანხმებიან სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალს, რაც პოლიციელზე თავდასხმას გულისხმობს სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით.

მოხდა გაურკვევლობა. ბერშუეთში მცხოვრები ერთი პირი სოფელში არსებული საგუშაგოს სიახლოვეს გადაადგილდებოდა ავტომობილით, იყო არაფხიზელ მდგომარეობაში – ნასვამი, საგუშაგოზე მყოფმა პირებმა ანიშნეს, რომ ავტომობილი გაეჩერებინა, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფმა გადასძახა – ხომ მიცნობთ, რომ აქაური ვარ, რატომ მაჩერებინებთო. ამას მოჰყვა უთანხმოება, შემდეგ მისახმარებლად მივიდნენ სხვებიც. ფაქტობრივად, მოხდა ჩხუბი, რა დროსაც ორივე მხარემ მიიღო სხეულის დაზიანებები. ჩემის დაცვის ქვეშ მყოფ ორივე პირს აღენიშნება სხეულის დაზიანებები, რის გამოც მოვითხოვე კომისიური სამედიცინო ექსპერტიზა. რაც შეეხება პოლიციელზე თავდასხმას სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, აბსოლუტურად უსაფუძვლოა ამგვარი ფორმულირება. უფრო მეტიც, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფებს საკმაოდ კარგი განწყობა აქვთ შსს-ს დანაყოფების მიმართ, ეს ადამიანები ეიმედებათ საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელში.

## კინოთეატრების ბილეთების ონლაინრეალიზაცია – კონკურენციის სააგენტომ მოკვლევა დაიწყო

საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ, შპს „ელ.ბილეთების" საჩივრის საფუძველზე, ხუთი ეკონომიკური აგენტის მიმართ მოკვლევის პროცესი დაიწყო.



სააგენტოს ცნობით, საკითხი შეეხება კინოთეატრების ბილეთების ონლაინრეალიზაციის ბაზარზე სავარაუდო კონკურენციის საწინააღმდეგო ქმედებებს.

მოკვლევა ორი მიმართულებით დაიწყო, რაც დომინანტური მდგომარეობის შესაძლო ბოროტად გამოყენებას („კონკურენციის შესახებ" კანონის მე-6 მუხლი) და კონკურენციის შესაძლო შემზღუდველ შეთანხმებებს, ე.წ. კარტელური გარიგებებს („კონკურენციის შესახებ" კანონის მე-7 მუხლი) გულისხმობს.

როგორც სააგენტოში აცხადებენ, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების სავარაუდო ფაქტზე მოკვლევა დაიწყო ერთი ეკონომიკური აგენტის მიმართ, ხოლო კონკურენციის შემზღუდველი შეთანხმების სავარაუდო ფაქტზე – ხუთი ეკონომიკური აგენტის მიმართ.

– ინფორმაციისთვის: საქმის მოკვლევის დაწყებიდან არაუგვიანეს ექვსი თვის ვადაში სააგენტო შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს. საკითხის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, მოკვლევის პროცესი შეიძლება 18 თვემდე გაგრძელდეს. კონკურენციის ეროვნული სააგენტო მიმდინარე რეჟიმში მოკვლევის ოთხ საქმეს განიხილავს – შეთანხმებული ქმედების, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, არაკეთილსინდისიერი კონკურენციისა და ადმინისტრაციული უწყების მხრიდან კონკურენციის შეზღუდვის სავარაუდო შემთხვევებს – საავტომობილო საწვავის, თამბაქოს, საზღვაო ტრანსპორტისა და მუნიციპალური პროექტების ზედამხედველობის სექტორებში. 2023 წელს უწყებამ ერთი მოკვლევა დაასრულა და ადმინისტრაციული უწყების მხრიდან კონკურენციის შეზღუდვის ფაქტი დაადგინა, – ნათქვამია კონკურენციის სააგენტოს ინფორმაციაში.

საერთაშორისო

## ბახმუტი მედგრად დგას

უკრაინის ქალაქ ბახმუტში ბრძოლები გრძელდება. რუსები ქალაქის ცენტრისაკენ გაჭრას შეეცადნენ. მათ რამდენიმე სახლიც დაიკავეს, მაგრამ ეს ძვირად დაუჯდათ. უკრაინული რაკეტების მიერ აღნიშნული სახლები აღიგავა პირისაგან მიწისა, იქ მყოფი რუსი ჯარისკაცები კი ან ცოცხლად ამოიბუგნენ, ან ნანგრევებში ჩაიმარხნენ.



თანახმად „აპოსტროფ ტივის" ცნობისა, უკრაინელთა ელვისებური კონტრშეტევების შედეგად ბახმუტის ცენტრი მტრისაგან მთლიანად იქნა გაწმენდილი, მაგრამ ბახმუტის ნაცვლად ახლა ნანგრევებილა დარჩა. ქალაქის ცენტრიც აღარ არსებობს. სამაგიეროდ, მხოლოდ გუშინდელ დღეს ბახმუტთან 250 რუსი ჯარისკაცი მოსპეს.

დონბასში ცხარე ბრძოლებია.

მათი ეპიცენტრია ავდეევკა, მარინკა, უგლედარი. ჩაიშალა რუსების მცდელობა, შემოერტყათ ალყა ავდეევკისათვის.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მარინკაში შექმნილი ვითარება. უკრაინელთა ელვისებური კონტრშეტევის შედეგად ოკუპანტებმა უკან დაიხიეს. მათ დათმეს ადრე მოპოვებული პოზიციები. ამავე დროს, უნდა ითქვას ისიც, რომ მარინკა მთლიანად დანგრეულია. ქალაქი აღარ არსებობს. მოსახლეობა გახიზნულია. მაგრამ უმთავრესია ის, რომ მარინკაზე კვლავ უკრაინული დროშა ფრიალებს.

ერთგვარი შესვენების შემდეგ გამძაფრდა ვითარება უგლედართან. პუტინის ბრძანებით იქ გადაისროლეს საზღვაო ქვეითთა ახალი ნაწილები, რომლებიც უგლედარში შეღწევას შეეცადნენ. ოკუპანტების ტაქტიკა არ შეცვლილა. ისინი სწორხაზოვნად მოქმედებდნენ და ცდილობდნენ, უგლედარი ერთი დაკვრით აეღოთ.

უკრაინის სამხრეთ რეგიონში რუსი ოკუპანტები თავდაცვაზე არიან გადასული, უკრაინელები კი კვლავ პარტიზანულ აქციებს განაგრძობენ. კვლავ განხორციელდა აფეთქებების სერიები მელიტოპოლში, ნოვაია კახოვკასა და ხერსონის ოლქის იმ ნაწილში, სადაც რუსი ოკუპანტები ბატონობენ. იქაც რუსული ყაზარმები თუ სამხედრო ბაზები ერთიმეორის მიყოლებით ჰაერში აცვივდნენ.

რუსების პასუხმა არ დააყოვნა. ზაპოროჟიესა და ხერსონის ოლქებზე სარაკეტო დარტყმები განხორციელდა. შედეგად დაინგრა სახლები, არის მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობას შორის.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

### დანაკარგები რუსი ოკუპანტების რიგებში

**თანახმად უკრაინის გენშტაბის ცნობისა, რუსი ოკუპანტების დანაკარგები შემდეგია:**

ტანკები – 3.631;
საბრძოლო ბრონირებული მანქანები – 7.013;
თვითმფრინავები – 306;
განადგურებულია 176.630 ოკუპანტი.

## კახეთში არასრულწლოვნების გაუპატიურების ორი ფაქტი დაფიქსირდა

კახეთში არასრულწლოვნების გაუპატიურების კიდევ ორი ფაქტი დაფიქსირდა. ერთ შემთხვევაში საქმე ეხება 15 წლის გოგონას, რომელზეც, ადგილობრივების თქმით, სექსუალურად, სავარაუდოდ, მამამ იძალადა, ფაქტის შესახებ კი სამართალდამცავებს სკოლის ადმინისტრაციამ აცნობა. დირექტორი დეტალებზე არ საუბრობს, თუმცა განმარტავს, რომ საეჭვო მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ ყველა შესაბამის უწყებას აცნობა.



რაც შეეხება მეორე შემთხვევას, 14 წლის მოზარდის გაუპატიურებაში მამინაცვალია ბრალდებული.

ორივე ფაქტზე სავარაუდო დამნაშავეები დაკავებული არიან.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ორივე შემთხვევაში გამოძიება გაუპატიურების მუხლით დაიწყო. უფრო კონკრეტულად, უწყების ცნობით, მამის მიერ შვილის მიმართ განხორციელებული სექსუალური ხასიათის ქმედების ფაქტზე გამოძიება 11 პრიმა 137-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ოჯახის წევრის გაუპატიურებას, მამინაცვლის მიერ გერის მიმართ ჩადენილი ქმედების ფაქტზე კი – 11 პრიმა 137-ე და 11 პრიმა 138-ე მუხლებით, რაც გულისხმობს ოჯახის წევრის გაუპატიურებას და ოჯახის წევრის მიმართ სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ქმედებას.

## დააკავეს 3 პირი, რომლებიც სარეცხ ფხვნილებს ბრენდული სასაქონლო ნიშნის უკანონოდ გამოყენებით აფასოებდნენ



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით სხვისი სასაქონლო ნიშნის მართლსაწინააღმდეგო გამოყენების ფაქტზე, სამი პირი დააკავეს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებს, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, ქვემო ქართლის რეგიონში, საცხოვრებელ სახლებში მოწყობილი ჰქონდათ კუსტარული საამქროები, სადაც ახდენდნენ იაფფასიანი სარეცხი ფხვნილების დაფასოებას ბრენდირებული სარეცხი საშუალებების სასაქონლო ნიშნის უკანონო გამოყენების გზით.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულ იქნა სარეალიზაციოდ გამზადებული, სხვადასხვა მოცულობის, საერთო ჯამში 1.386 პაკეტი კონტრაფაქციული სარეცხი საშუალება, რომელთა საბაზრო ღირებულება 44.000 ლარს აღემატება. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 196-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3-დან 5 წლამდე ვადით.

## ბათუმის მე-5 საჯარო სკოლაში მოსწავლეებმა თვითდაზიანებები მიიყენეს



ბათუმში სკოლის მოსწავლეებმა თვითდაზიანებები მიიყენეს. როგორც TV25 წერს, შემთხვევა მეხუთე საჯარო სკოლაში მოხდა.

გავრცელებული ინფორმაციით, შვიდ მოსწავლეს ხელებზე ჭრილობები აქვს. ინციდენტი საგაკვეთილო პროცესი დროს მოხდა. ფაქტს ბათუმის რესურსცენტრიც ადასტურებს.

სკოლის დირექტორი გოჩა დავითაძე ამბობს, რომ მოზარდებმა ჭრილობები ხელებზე მიიყენეს.

მოსწავლეები მშობლებთან ერთად საგამოძიებო უწყებაში გამოკითხვაზე იმყოფებიან. დამატებითი დეტალები ჯერჯერობით უცნობია.

## კახეთში მანქანა მდინარეში გადავარდა – დაღუპულია 2 ადამიანი




ლაგოდეხი-გურჯაანის დამაკავშირებელ გზაზე მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას 2 ადამიანი ემსხვერპლა. ადგილზე პოლიცია, სამაშველო და სასწრაფო დახმარების ჯგუფები არიან მობილიზებული.

არსებული ინფორმაციით, მსუბუქი ავტომობილის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და მდინარეში გადავარდა.

მანქანაში ორი ადამიანი იმყოფებოდა.

## რუსთავში ქმარმა ცოლს სცემა

ქმარმა ცოლს სცემა. შემთხვევა რუსთავში მოხდა. ინფორმაციას „ინფო რუსთავი" ავრცელებს.

„ინფო რუსთავის" ინფორმაციით, თბილისის ქუჩის მიმდებარედ, ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში ცოლსა და ქმარს შორის კამათი სიტყვიერი შელაპარაკებით დაიწყო და ფიზიკური დაპირისპირებით დასრულდა.

მამაკაცმა ქალს სცემა და სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა.

ფაქტის შესახებ ცნობილი გახდა პოლიციისთვის. სამართალდამცავებმა 50 წლამდე მამაკაცი ადგილზე დააკავეს.

2023, 7 აპრილი, №69

# რუსი ოფიცრის თამამი პროგნოზი



პოლკოვნიკი მიხეილ ხოდორიონოკი (დაბ. 1954 წელს) პროფესიონალი ოფიცერია. დღეისათვის ის გენშტაბის გადამდგარი ოფიცერია. როგორც ყველა რუსი სამხედრო, ხოდორიონოკიც შოვინისტია, ამიტომაც შარშან მიესალმა უკრაინაში რუსის ჯარის შეჭრას.

– უკრაინას სამ დღეში, მაქსიმუმ, ერთ კვირაში ავიღებთ! მსურს, პრეზიდენტ ზელენსკის მეგობრული რჩევა მივცე: სანამ დროა, აიკრიფოს გუდანაბადი და უკრაინიდან სადმე შორს მოუსვას, – თქვა ხოდორიონოკმა.

შემდგომში ხოდორიონოკი აცხადებდა, რომ მისი პროგნოზი არ გამართლდა, მაგრამ ეს გასაგებიცაა. როგორც რუსების უმრავლესობას, ხოდორიონოკსაც ძალიან უნდოდა, რომ კიევზე რუსეთის დროშა აფრიალებულიყო. როგორც ყველა სამხედრო, ხოდორიონოკიც გულახდილია, მით უმეტეს, რომ უკვე გადამდგარია და უფროსობასთან ურთიერთობა მძიმე ტვირთად არ აწევს.

უკრაინაში ბლიც-კრიკის ჩაშლისთანავე ხოდორიონოკმა განაცხადა, რომ აუცილებელია, ე.წ. სპეციალური სამხედრო ოპერაცია სასწრაფოდ დამთავრდეს, თორემ კრახი გარდაუვალია. მართლაც, რუსული საოკუპაციო არმია განდევნეს ჯერ კიევსჩინიდან, შემდეგ – ხარკოვსჩინიდან და ხერსონიდან.

ხოდორიონოკი ხაზს უსვამს, რომ განუწყვეტელმა შეტევებმა რუსეთის არმიას ქანცი გააცალა. სისხლისაგან დაცლილი არმია კი უკრაინელებს ვერ შეაჩერებს.

ხოდორიონოკმა აღნიშნა, რომ უკრაინელთა კონტრშეტევა, სავარაუდოდ, რამდენიმე მიმართულებით განხორციელდება. უკრაინულ არმიას უფრო სუსტი ავიაცია ჰყავს, ვიდრე რუსეთს, ამიტომ უკრაინელები კონტრშეტევისას ზეზუსტ იარაღს გამოიყენებენ. ისინი დაბომბავენ რუსული არმიის პოზიციებს და განახორციელებენ დარტყმებს რუსეთის ტერიტორიაზე.

ყოველივე ეს რუსმა ოფიცერმა საჯაროდ განაცხადა რტრ-ის ეთერიდან. მან ხაზი გაუსვა, რომ რუსეთი უფსკრულის პირას აღმოჩნდა და ეს თურმე როგორც ევროპას, ისე აშშ-საც დააზარალებს.

ასეთია გადამდგარი რუსი გენშტაბის ოფიცრის პროგნოზი.

# კევინ მაკარტი ტაივანის პრეზიდენტს შეხვდება



აშშ-ის კონგრესის სპიკერი კევინ მაკარტი ტაივანის პრეზიდენტ ცაი ინგ-ვენს შეხვდება. ამის თაობაზე იუწყება რადიოსადგური „ამერიკის ხმა“.

ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოსალოდნელი შეხვედრის გამო უკვე გააკეთა განცხადება და მას ჩინეთის შიდა საქმეებში ჩარევა უწოდა.

# მაიკ პომპეო აშშ–უკრაინის ურთიერთობების შესახებ



აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა მაიკ პომპეომ განაცხადა, რომ უკრაინისადმი სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური დახმარება უნდა გაიზარდოს. პომპეოს აზრით, ამას ალტერნატივა არა აქვს.

უკრაინისადმი დახმარების საკითხში როგორც ამერიკელ დემოკრატებს, ისე რესპუბლიკელებს შორის კონსენსუსია. გამონაკლისს წარმოადგენს ექსპრეზიდენტ ტრამპის მომხრეთა მცირე ჯგუფი, ე.წ. ტრამპისტები. ისინი გამოდიან უკრაინის დახმარების წინააღმდეგ.

აშშ-ის ექსპრეზიდენტი, ფაქტობრივად, უკვე მარგინალურ ფიგურად გადაიქცა, მისი საქმე კი სასამართლოშია გადაცემული.

# ვლადიმერ ზელენსკი პოლონეთში ჩავიდა



უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკი პოლონეთში ჩავიდა. იქ მას პოლონეთის პრეზიდენტი დუდა შეხვდა. საუბარი ძირითადად პოლონეთ-უკრაინის სამხედრო კავშირებს შეეხო.

პრეზიდენტებმა მიაღწიეს შეთანხმებას უკრაინისათვის პოლონური სამხედრო ტექნიკის გადაცემის თაობაზე. ამას გარდა, დუდამ განაცხადა:

– პოლონეთი ნატოს ვილნიუსის სამიტზე უკრაინის ალიანსში გაწევრიანების საკითხს კიდევ ერთხელ დასვამს!

როგორც ცნობილია, ნატოს სამიტზე უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკი ოფიციალურადაა მიწვეული. უნგრეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამის გამო ოფიციალურად პროტესტი გამოაცხადა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

# ქალმა ქმარსა და მის საყვარელს კოცნის დროს მანქანა დააჯახა



ავსტრალიის ქალაქ ბრისბენის მკვიდრმა ქალმა ქმარსა და მის საყვარელს იმ დროს მიუსწრო, როდესაც ისინი ერთმანეთს კოცნიდნენ.

38 წლის ქრისტი ლი კენედი ეჭვობდა, რომ ქმარი მას ღალატობდა. როდესაც მეუღლემ მას უთხრა, რომ საბავშვო ბაღში მიდიოდა ბავშვების გამოსაყვანად, ქალმა მას ავტომობილით თვალთვალი სპეციალური დანართის გამოყენებით დაუწყო. როდესაც ქალმა შენიშნა, თუ როგორ ეხვეოდა და კოცნიდა მისი ქმარი ქუჩაში სხვა ქალს, ის გაცეცხლდა, ავტომობილის სატერფულს ფეხი დააჭირა და საყვარლებს დააჯახა. მანქანამ ქალი წააქცია, ხოლო მამაკაცი ჰაერში აისროლა. ამის შემდეგ კენედი მანქანიდან გადმოვიდა და მეუღლის საყვარელს თავს დაესხა. მან მეტოქეს სახეში გაულაწუნა, „სქელი მეძავი“ უწოდა, მანქანაში ჩაჯდა და წავიდა.

სასამართლოში კენედიმ ავტომობილის სახიფათოდ მართვის ფაქტი აღიარა. ნაფიცმა მსაჯულებმა ქალი ორ წაყენებულ ბრალდებაში უდანაშაულოდ ცნეს, თუმცა თავდასხმის შედეგად ზარალის მიყენების ფაქტზე შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. საბოლოოდ პროკურორი კენედისთვის სამი წლით პატიმრობას მოითხოვდა.

მოსამართლემ ქალს ცხრა თვით პირობითი თავისუფლების აღკვეთა და ორი წლით გამოსაცდელი ვადა მიუსაჯა. გარდა ამისა, კენედი ვალდებული იქნება, თავის ყოფილ ქმარსა და მის საყვარელს ხუთ-ხუთი ათასი ავსტრალიური დოლარი გადაუხადოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ერთი თვის საპატიმროში გატარება მოუწევს. ასევე მას ცხრა თვით აეკრძალა მანქანის მართვა.

# დედის სახლში ნაპოვნმა ძველმა ჭურჭელმა მამაკაცი გაამდიდრა



ბრიტანეთში მამაკაცმა დედის სახლში აღმოაჩინა ძველი ჭურჭელი, რომელმაც მას 112 ათასი ფუნტი სტერლინგი მოუტანა.

დერბიშირის საგრაფოს მკვიდრმა 67 წლის მამაკაცმა ფაიფურის რამდენიმე საგნის გაყიდვა გადაწყვიტა, რომლებიც წლების განმავლობაში დედამისის სახლში განჯინაში ინახებოდა. თავდაპირველად მას ჭურჭლის საქველმოქმედო მაღაზიისთვის გადაცემა სურდა, თუმცა შემდეგ ის შესაფასებლად აუქციონის სახლში მიიტანა იმის იმედად, რომ მასში 30 ფუნტს მიიღებდა.

– მოგვიანებით აუქციონის სახლიდან დამირეკეს და მითხრეს, რომ ზოგიერთი ჩინური ფაიფურის ნაწარმი გაცილებით ძვირი ღირდა, – იხსენებს მამაკაცი.

გაირკვა, რომ მამაკაცის დედის სახლში ნამდვილი ფაიფურის ნაწარმი ინახებოდა, რომლებიც XVI საუკუნეში მინის იმპერიის ეპოქაში იყო დამზადებული. აუქციონის სახლის თანამშრომლებმა ჭურჭელი აუქციონზე გასაყიდად ოთხიდან ექვსი ათას ფუნტ სტერლინგამდე ფასად გაიტანეს. ონლაინვაჭრობაში მის ხელში ჩასაგდებად სამი პოტენციური მყიდველი იბრძოდა, საბოლოოდ კი ოთხი ნივთისგან შემდგარი ნაკრები აუქციონის მონაწილე ჩინელმა 81,9 ათას ფუნტად შეიძინა. კიდევ ერთი ნივთი – 14,5 ათას ფუნტად, ხოლო მეორე – 8,8 ათას ფუნტად გაიყიდა.

როგორ მოხვდა აღნიშნული ჭურჭელი დიდ ბრიტანეთში, უცნობია. სპეციალისტების ვარაუდით, ისინი რომელიმე მონასტერში ან ტაძარში სალვთო მსახურების დროს გამოიყენებოდა, ხოლო ბრიტანეთში ის პირველი ან მეორე მსოფლიო ომის დროს ჩამოიტანეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სპორტი

# შერმადინი საუკეთესო იყო და ნახევარფინალისკენ გაიხედა



გიორგი შერმადინმა და მისმა ტენერიფემ პრესტიჟული ტიტულის დაცვა წარმატებულად დაიწყეს. ტენერიფელები ფიბა-ს ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი გამარჯვებულები არიან და ახლა ამ ტურნირის მეოთხედფინალში გავიდნენ, სადაც ქართველი ცენტრის წინამძღოლობით პირველი მატჩი მოიგეს და ნახევარფინალს მიუახლოვდნენ.

რა გასაკვირია, რომ შერმადინი მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა. ჩვენებურმა მვპ-ს ტიტული დამსახურებულად მიიღო, რადგან მატჩში ყველაზე შედეგიანი იყო. გიორგიმ მოედანზე 29:16 წუთი გაატარა, რა დროშიც 9-იდან 7 ორქულიანი და 6-იდან 4 საჯარიმო ჩააგდო. შერმადინის ანგარიშზე 18 ქულა, 6 მოხსნა და 1 ჩაჭრა დაგროვდა. პასივში 4 ჯარიმა და 2 დაკარგვა ჰქონდა. შერმადინს სარგებლიანობის ინდექსმა 19 შეადგინა, რაც ორივე გუნდში საუკეთესო მაჩვენებელია.

შეხვედრა სტუმართა უპირატესობით დაიწყო, მაგრამ ტენერიფემ დიდ შესვენებამდე შეძლო ანგარიშში წინ გასვლა, რის შემდეგაც თამაშის სადავეები ხელიდან საფინალო სირენამდე აღარ გაუშვა. მატჩი ტენერიფელებმა 91:84 მოიგეს.

ამ გუნდების მეორე დაპირისპირება 12 აპრილს ამჯერად მანრესას არენაზე გაიმართება და, გამარჯვების შემთხვევაში, ტენერიფე ნახევარფინალში გავა.

# მამარდაშვილი პრემიერლიგის თვალთახედვის არეშია



ესპანური ვალენსიისა და საქართველოს ნაკრების მეკარე გიორგი მამარდაშვილი, შესაძლოა, ინგლისის პრემიერლიგაში გადაბარგდეს.

გავრცელებული ინფორმაციით, 22 წლის ქართველი მეკარის წარმომადგენლები ლონდონში ჩელსისთან მოლაპარაკებაზე იმყოფებოდნენ, შემდეგ კი, ლონდონელებისა და ლივერპულის მატჩს დაესწრნენ.

ჩვენი ინფორმაციით, მამარდაშვილის აგენტი ლევან სეთურიძე მოლაპარაკებებს ტოტენჰემთანაც მართავდა. ერთია, ცნობილი იტალიელი ინსაიდერი ფაბრიციო რომანო ტვიტერზე წერს, რომ ქართველი მეკარისთვის ბრძოლაში ლესტერ სიტი დაწინაურდა.

ვალენსია რთულ მდგომარეობაშია. ლა ლიგაში გასული 27 ტურის შემდეგ რუბენ ბარახას გუნდს 27 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში მე-17 ადგილზეა, თუმცა ამდენივე ქულა აქვთ გასავარდნ ზონაში მყოფ ესპანიოლსა და ალმერიას. 9 აპრილს ვალენსია სწორედ ალმერიას ესტუმრება.

არანაკლებ ცუდ მდგომარეობაშია რომანოს ნახსენები ლესტერიც, რომელიც ინგლისის პრემიერლიგაში მე-19 ადგილზეა და გავარდნის საშიშროება „მელიებსაც“ ემუქრებათ.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# მარტა ბარამიძემ სასამართლოში სარჩელი შეიტანა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

გადაცემაშიც ვთქვი და ახლაც ვიტყვი, მიუხედავად იმისა, რომ ამდენი წელი გავიდა, საკუთარი თავის მიმართ ყოველთვის მქონდა უსამართლობისა და უმოქმედობის განცდა, ფიქრები იმის შესახებ, რომ მოძალადის მხილებით შეიძლებოდა, სხვა ადამიანებიც მეხსნა მსგავსი ტრავმებისგან. მწერენ ასევე ადამიანები, რომლებსაც ასეთივე ამბავი გადახდათ. შეემთხვათ მინდოდა დამეწერა, „ისტორია“-თქო, მაგრამ ეს შემთხვევები, სამწუხაროდ, ისტორიას არასდროს რჩება და ის მთელი ცხოვრების განმავლობაში დაღად გვაქვს დასმული, მანამ, სანამ სამართლიანობის განცდა არ დაგვეუფლება.

გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ მე შევიტანე სარჩელი, დაწყებულია გამოძიება, რაც კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია. ამ პერიოდის განმავლობაში მოვისმინე არაერთი მსგავსი ფაქტის შესახებ, რომლებიც სწორედ ამ ადამიანს, „ბიკო ბირბიჩაძეს“ უკავშირდება.

გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არა მაქვს უფლება, ამაზე ვისაუბრო, მაგრამ ახლა ყველა თქვენგანის მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია ჩემთვის და ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც ძალადობის მსხვერპლია. შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობა ახლა ერთადერთი გზაა, რომ მივიდეთ სამართლიანობის განცდამდე.

დროა დავარღვიოთ წლების განმავლობაში დაგროვილი სიჩუმე და ერთად მივაღწიოთ იმას, რომ ეს ამბავი ჩვენს ცხოვრებაში „ისტორიას დარჩეს“, მაგრამ ეს დუმილით ვერ მიიღწევა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**


# განცხადებები

- მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავებაშეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.
- ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# ფლეი ოფი ჩემპიონის გარეშე — ქუთაისი ტიტულს ვეღარ დაიცავს



სუპერლიგის ფლეი ოფის რვავე მონაწილე ცნობილია. მოქმედი ჩემპიონი ქუთაისი, რომელსაც რეგულარული სეზონის ბოლო ტურში გამარჯვება სჭირდებოდა, დამარცხდა და სუპერლიგის მიმდინარე სეზონი დაასრულა.

რიონისპირელებმა სეზონი მე-9 ადგილზე დაასრულეს და, შესაბამისად, ვერც ფლეი ოფში გავიდნენ და არც სუპერლიგაში ადგილის შესანარჩუნებელი საკვალიფიკაციო ეტაპი ელით.

ქუთაისელთა ვერმოგებით ისარგებლა მარგვეთმა, რომელმაც რეგულარული ჩემპიონატის მატჩები 1 კვირის წინ დაასრულა და მათ შედეგებს ელოდებოდა. შედეგად, მარგვეთი, რომელმაც სეზონი მეგას სახელით დაიწყო და მომავალი სეზონიდან ზესტაფონს მარგვეთის სახელით წარმოადგენს, ფლეი ოფში ითამაშებს.

კოტე ტულუშის გაწვრთნილ ქუთაისელებს შინაურ არენაზე მეტოქედ გურჯაანის დელტა ჰყავდათ, რომელსაც ფლეი ოფი განაღდებული ჰქონდა, მაგრამ ცხრილში უკეთესი პოზიციის მოსაპოვებლად ბოლომდე იბრძოლა. იბრძოლა და გაიმარჯვა, რაც ქუთაისელთათვის საბედისწერო გამოდგა, თავად დელტა კი 10-10 მოგებ-წაგებით მე-5 ადგილზე განთავსდა. თუმცა, საბოლოოდ ამ ადგილზე დაასრულებს რეგულარულს, თუ უფრო დაბლა ჩავა, ეს მეტოქეების – კაქტუსისა და ბათუმის შედეგებზეა დამოკიდებული.

რაც შეეხება მატჩს, ქუთაისელებმა მე-3 პერიოდი ჩააგდეს, რომელიც 19:27 დათმეს და ჩამორჩენა ვეღარ აღმოფხვრეს. საბოლოოდ დელტამ 93:83 მოიგო.

გურჯაანელთა გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წილი ფუძით ქუთაისელმა, ოთარ ფხაკაძემ დაიდო – 26 ქულა, 6 პასი. 23 ქულა და 8 მოხსნა დერიკ ნიუტონმა დააგროვა. 14 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი და 4 ჩაჭრა ეივი ტუმერის ანგარიშზეა. ქუთაისელთაგან 25 ქულით კახა ჯინჭარაძე გამოირჩა. ლუკა მაზიაშვილმა 19 ქულა, 9 პასი, 6 მოხსნა და 5 ჩაჭრა მოაგროვა.

რეგულარულ სეზონში დარჩენილია 4 მატჩი, რომელიც ფლეი ოფის ადგილებს საბოლოოდ გადაანაწილებს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ოლიმპი | 19 | 15 | 4 | 1662-1565 | 34 |
| 2.რუსთავი | 19 | 14 | 5 | 1704-1509 | 33 |
| 3.კავკასია | 19 | 13 | 6 | 1584-1538 | 32 |
| 4.თსუ | 19 | 11 | 8 | 1645-1564 | 30 |
| 5.კაქტუსი | 19 | 10 | 9 | 1456-1509 | 29 |
| 6.დელტა | 20 | 10 | 10 | 1675-1607 | 30 |
| 7.მარგვეთი | 20 | 8 | 12 | 1596-1651 | 28 |
| 8.ბათუმი | 19 | 9 | 10 | 1597-1594 | 28 |
| 9.ქუთაისი | 20 | 8 | 12 | 1654-1727 | 27 |
| 10.ტიტები | 19 | 6 | 13 | 1618-1649 | 25 |
| 11.ვერა | 19 | 2 | 17 | 1497-1775 | 21 |

# ლევან კობიაშვილი უეფას აღმასკომში აირჩიეს




ლისაბონში გამართულ უეფას 47-ე კონგრესზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ლევან კობიაშვილი უეფას აღმასრულებელი კომიტეტის წევრად აირჩიეს. სფფ-ის პრეზიდენტი გახდა პირველი ქართველი, რომელიც უეფას აღმასრულებელ კომიტეტში იმუშავებს. ლევან კობიაშვილმა 40 ხმა მიიღო.

**უეფას აღმასრულებელი კომიტეტის არჩევნების შედეგები:**

არმანდ დუკა (ალბანეთი) – 45 ხმა; იესპერ მიოლერ კრისტენსენი (დანია) – 42; პეტრ ფოუსეკი (ჩეხეთი) – 40; ლევან კობიაშვილი (საქართველო) – 40; ლუის რუბიალესი (ესპანეთი) – 40; ფილიპ დიალო (საფრანგეთი) – 37; ანდრი პაველკო (უკრაინა) – 31.

უეფას 47-ე კონგრესის ფარგლებში ასევე გაიმართა ორგანიზაციის პრეზიდენტის არჩევნები. ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის პრეზიდენტად ერთადერთი კანდიდატი ალექსანდრ ჩეფერინი მესამე ვადით აირჩიეს. უეფას პრეზიდენტი, ისევე, როგორც აღმასრულებელი კომიტეტის წევრები, 4 წლის ვადით აირჩიეს.

უეფას კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სფფ-ის გენერალურმა მდივანმა დავით მუჯირმა, პირველმა ვიცეპრეზიდენტმა კახა ჭუმბურიძემ, ვიცეპრეზიდენტმა ალექსანდრე იაშვილმა და ვიცეპრეზიდენტმა აკაკი ალადაშვილმა.

**ლევან კობიაშვილი:**

– ძალიან ბედნიერი დღეა ჩემთვის, მიხარია, რომ მხარი დამიჭირეს და უეფა-ს აღმასკომის წევრად ამირჩიეს. უპირველესად, მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც მხარი დამიჭირა. ასევე იმ ადამიანებს საქართველოში, ვინც მგულშემატკივრობდა.

ეს თითოეული ჩვენგანის წარმატებაა, რადგან პირველად ისტორიაში, ქართველი უეფა-ს აღმასკომის წევრი გახდა. ეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობა და პატივია. მაქსიმუმს გავაკეთებ, უპირველესად, უეფა-სა და ევროპული ფეხბურთისთვის და ცხადია, ქართული ფეხბურთისთვის, ვინაიდან ასეთი მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

ვისარგებლებ შემთხვევით და უეფა-ს პრეზიდენტის პოსტზე არჩევას ვულოცავ ალექსანდერ ჩეფერინს. მნიშვნელოვანია ის პროგრამები და პროექტები, რასაც წლების განმავლობაში მისი გუნდი ახორციელებდა. მიხარია, რომ მეც ამ გუნდის წევრი ვარ და ჩვენ ერთობლივად გავაგრძელებთ იმ გზას, რომელიც წლების წინ არის დაწყებული.

# დინამო ხორვატებს ვერ გაუმკლავდა

წყალბურთელთა ჩემპიონთა ლიგის 2022-23 წლების გათამაშების მორიგ ტურში თბილისის დინამო შინ, ოლიმპიკის აუზში სპლიტის იადრანს დაუპირისპირდა. დინამო პირველ წრეში იადრანთან სტუმრად 7:21 დამარცხდა. საქართველოს ჩემპიონები ვერც 5 აპრილს გაუმკლავდნენ ხორვატებს. დეაინ სტანოიევიჩის გუნდმა ამჯერად შვიდი ბურთი გაიტანა და 12 გაუშვა.

მატჩი სტუმართა უპირატესობით დაიწყო და პირველი მეოთხედი ხორვატებმა 4:2 მოიგეს. იადრანის წყალბურთელებმა მეორე პერიოდი კიდევ უფრო აქტიურად ჩაატარეს და 4:1 მოიგეს. შედეგად, ხორვატები დიდი შესვენებაზე 5 ბურთით იგებდნენ.

შესვენების შემდეგ დინამოელებმა უკეთ ითამაშეს, მაგრამ მდგომარეობის გამოსწორება ვერ შეძლეს.

ჩემპიონთა ლიგის მე-12 ტური 25-26 აპრილს გაიმართება. დინამო საბერძნეთის ვულიაგმენს უმასპინძლებს.

სატურნირო ცხრილი: ბარსელონეტა – 30 ქულა; პრო რეკო – 27; ოლიმპიაკოსი – 25; ვულიაგმენი – 14; იადრანი – 14; რადნიჩკი – 9; დინამო – 6; ვასპო – 3.

# შედეგები

**5 აპრილი**
**ფეხბურთი**
**ინგლისი. პრემიერლიგა**

მანჩესტერი-ბრენტფორდი ................ 1:0
ვესტ ჰემი-ნიუკასლი ...................... 1:5

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 29 | 23 | 3 | 3 | 70-27 | 72 |
| 2.სიტი | 28 | 20 | 4 | 4 | 71-26 | 64 |
| 3.ნიუკასლი | 28 | 14 | 11 | 3 | 46-20 | 53 |
| 4.მანჩესტერი | 28 | 16 | 5 | 7 | 42-37 | 53 |
| 5.ტოტენჰემი | 29 | 15 | 5 | 9 | 53-41 | 50 |
| 6.ბრაიტონი | 27 | 13 | 7 | 7 | 51-34 | 46 |
| 7.ასტონ ვილა | 29 | 13 | 5 | 11 | 39-40 | 44 |
| 8.ლივერპული | 28 | 12 | 7 | 9 | 48-33 | 43 |
| 9.ბრენტფორდი | 29 | 10 | 13 | 6 | 46-38 | 43 |
| 10.ფულემი | 28 | 11 | 6 | 11 | 39-39 | 39 |
| 11.ჩელსი | 29 | 10 | 9 | 10 | 29-30 | 39 |
| 12.კრ.პალასი | 29 | 7 | 9 | 13 | 24-39 | 30 |
| 13.ლიდსი | 29 | 7 | 8 | 14 | 38-49 | 29 |
| 14.ვულვზი | 29 | 7 | 7 | 15 | 23-42 | 28 |
| 15.ვესტ ჰემი | 28 | 7 | 6 | 15 | 26-39 | 27 |
| 16.ევერტონი | 29 | 6 | 9 | 14 | 23-41 | 27 |
| 17.ნოტინგემი | 29 | 6 | 9 | 14 | 24-52 | 27 |
| 18.ბორნმუთი | 29 | 7 | 6 | 16 | 27-57 | 27 |
| 19.ლესტერი | 29 | 7 | 4 | 18 | 40-51 | 25 |
| 20.საუთჰემპტონი | 29 | 6 | 5 | 18 | 23-47 | 23 |

**ესპანეთი. სამეფო თასი**

ბარსელონა-რეალი ........................ 0:4

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# ძაგნიძემ შანსი დაიტოვა



ინდოეთის ქალაქ ნიუ დელიში დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრან პრის მესამე ეტაპი. ვერ ვიტყვით, რომ საქართველოს ნაკრების წარმომადგენლებმა კარგად ითამაშეს – ნინო ბაციაშვილმა და ნანა ძაგნიძემ 7-9 ადგილები გაიყვეს.

საბოლოო შედეგები ასეთია: ალექსანდრა გორიაჩკინა, ბიბისარა ასაუბაიევა, ჩჟუ ცზინერი – 7-7 ქულა; კატერინა ლაგნო, პოლინა შუვალოვა – 6-6; ჰამპი კონერუ – 5.5; ნინო ბაციაშვილი, ჰარიკა დრონავალი, ნანა ძაგნიძე – 4.5-4.5; რამეშბაბუ ვაიშალი – 3; ელიზაბერ პეტცი – 0 ქულა.

სამი ეტაპის შემდეგ კი ასეთი მდგომარეობაა: ჩჟუ ცზინერს სამივე ეტაპი ნათამაშები აქვს და 308 ქულით ლიდერობს; ალექსანდრა გორიაჩკინას ორ ეტაპზე 263 ქულა აქვს; ალექსანდრა კოსტენიუკი (2) – 250; კატერინა ლაგნო (2) – 245; ჰამპი კონერუ (2) – 200; ბიბისარა ასაუბაიევა (2) – 163; ნანა ძაგნიძე (2) – 160; ჟანსაია აბდუმალიკი (3) – 145; ჰარიკა დრონავალი (2) – 140; თან ჩჟუნი (2) – 125; ელიზაბეტ პეტცი (3) – 95; პოლინა შუვალოვა (2) – 95; რამეშბაბუ ვაიშალი (2) – 90; დინარა ვაგნერი (2) – 70; ალინა კაშლინსკაია (2) – 60; ნინო ბაციაშვილი (1) – 50; მარია მუზიჩუკი (1) – 40; ანა მუზიჩუკი (1) – 20.

გრან პრის მეოთხე, გადამწყვეტი ეტაპი 15-28 მაისს კვიპროსზე გაიმართება. თავდაპირველად ტურნირი პოლონეთში იყო დაგეგმილი, მაგრამ მასპინძლებმა უარი თქვეს რუსი სპორტსმენების მიღებაზე. შედეგად, კვიპროსზე გადაიტანეს.

ნიქოზიაში 12 მოჭადრაკეა მიწვეული: ბიბისარა ასაუბაიევა (ყაზახეთი), ნანა ძაგნიძე (საქართველო), ალექსანდრა გორიაჩკინა, კატერინა ლაგნო, პოლინა შუვალოვა (ყველა რუსეთი), ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი), ალინა კაშლინსკაია (პოლონეთი), ალექსანდრა კოსტენიუკი (შვეიცარია), ანა მუზიჩუკი, მარია მუზიჩუკი (ორივე უკრაინა), თან ჩჟუნი (ჩინეთი), დინარა ვაგნერი (გერმანია).

როგორც ხედავთ, ნანა ძაგნიძეს ჯერ კიდევ აქვს შანსი, ორ საუკეთესო მოჭადრაკეს შორის მოხვდეს, რაც მსოფლიოს ჩემპიონობისთვის ბრძოლის საშუალებას მისცემს. საამისოდ ნიქოზიაში მოსაგებად უნდა იბრძოლოს.

# სამგლოვიარო განცხადებები

## წერილი ალიოშა შენგელიას მეუღლისგან

### მამას: ჩემი ლოცვები გააფერმკრთალებს, რაც გულში დაგრჩა სევდის ნარჩენი – შენი ქეთინო



აპრილი იყო ჩვენი შეერთებისა და განშორების თვეც. შარშან, ხარება დღეს, 7 აპრილს დაგვემშვიდობე. როგორც სასულიერო პირები მანუგეშებენ, ამ დღის წასულს სამოთხის კარი პირდაპირ ღია დაგხვდებოდა. სიკეთისა და თავდაუზოგავი საქმეების კეთებისთვის იყავი ამქვეყნად მოვლენილი. ფათერაკებსა და რისკებს არ ერიდებოდი მეგობრებისთვის. სავსე იყო შენი ცხოვრება ამქვეყნიური ინტერესებით. შენი ქვეყნის, შენი საძმაკაცოსა და შენი ოჯახის სიყვარული ერთ სივრცეში გქონდა აღქმული.

შენმა ძლიერმა სულმა განშორების დღესაც არ მოიწყინა, მეც და შვილებსაც მოგვწერე წერილი, უშენოდ როგორ გვეცხოვრა. არავის წყენა გულში არ ჩაგვედო, რომ სულით არ დავმძიმებულიყავით. გვეხვეწებოდი, არ გვენერვიულა. განსაცდელმა, რომლის წინაშეც შენ აღმოჩნდი, ვერაფერი დააკლო შენს ხასიათს, ისევ ისეთი ამაყი, შემართული და მებრძოლი წახვედი, როგორსაც შეგხვდი ცხოვრებაში.

გაუსაძლისი ყოფილა განშორება ცხოვრების თანამგზავრთან. შენი წასვლის შემდეგ იყო მოლოდინი, მესმოდა შენი ფეხის ხმა, ცხადში სიზმრად ყოფნა და ილუზიები, რომ სახლის კარს შენებური ხალისით შემოაღებდი. დამთავრდა ეს ლოდინი და, რეალობაში ჩავარდნილს, მეუბნებიან, დრო მკურნალიაო, რაც არ არის მართალი...

ნათელში მყოფ შენს სულს მშვიდად ყოფნას გისურვებს შენი ოჯახი.

*თინა მაისურაძე, ქეთინო და ნუგზარ შენგელიები,*
*ლევან და დათო კანდელაკები*

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ტაძარი ქუთაისში; 2. პირველი მსოფლიო ჩემპიონი ქალი ჭადრაკში; 3. სხეულის რომელიმე ნაწილის გახვრეტა სამკაულის დასამაგრებლად; 4. სახელმწიფო აფრიკის ჩრდილოეთში; 5. ქართული ხალხური ცეკვა; 8. უდიდესი ატომური ელექტროსადგური გერმანიაში; 9. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 12. სამხრეთაფრიკელი ქირურგი, რომელმაც პირველმა განახორციელა გულის გადანერგვის წარმატებული ოპერაცია; 13. ეზოს დიდი რკინის კარი; 16. სასტუმრო გაგრაში; 17. ხანგრძლივი ღრმა ძილის მდგომარეობა; 19. ჯარების საზეიმო დათვალიერება; 20. აბანოს თანამშრომელი.

**თარაზულად:** 6. ექიმბაშის ძველი ქართული სახელწოდება; 7. დაკეპილი ხორცის გულიანი სვანური ორცხობილა; 8. ფრანგი კინორეჟისორი; 10. ფაიფურის წარმოებაში გამოყენებული თეთრი ფერის ცეცხლგამძლე თიხა; 11. თხუნელას მეორე სახელწოდება; 14. კუნძულოვანი სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვაში; 15. პირველი ქართული მხატვრული ფილმი; 18. სპარსელი პოეტი; 21. მსხვილად დაფქვილი სიმინდის მარცვალი; 22. მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ბრიტანელი ბილიარდისტი; 23. ორსახოვანი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 24. ჩაის დეგუსტატორი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჩრჩილი; 2. კილტი; 3. გრახტი; 4. ქორქია; 6. ფარაონი; 9. არაყი; 11. კურიოზი; 15. ლაფონტენი; 16. ხარება; 17. კუპიდონი; 19. იმპულსი; 21. პაპაინი; 22. რატუშა.

**თარაზულად:** 5. ერისთავი; 7. ანაკლია; 8. არმანი; 10. გრაფიკა; 12. იფქლი; 13. კრუპი; 14. ბაყალხანა; 18. გრილი; 20. ჯაკუზი; 23. მაინცი; 24. პაპი; 25. პობედა; 26. შუნი; 27. ანანასი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სადროშო; 2. აფალინა; 3. ჩინეჩიტა; 4. ჯეჯილი; 5. კასკადი; 8. კანტონი; 9. სიბარიტი; 12. საქსაული; 13. გლუკოზა; 16. სოლფეჯიო; 17. ოლიმპია; 19. აპნისი; 20. ასკოტი.

**თარაზულად:** 6. პაციფისტი; 7. ბედლამი; 8. კრეოლი; 10. კორსიკა; 11. კაფი; 14. ბალატონი; 15. ექსპორტი; 18. როტარუ; 21. პოზიცია; 22. ისტრი; 23. იტალია; 24. პორტოფინო.

**ახალი თაობა**
Akhali Taoba
akhalitaoba.ge

7 აპრილი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.5372 | ევრო — 2.7661 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1615 | 100 რუსული რუბლი — 3.1382 |

## ამინდის პროგნოზი 7 აპრილისათვის




ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხავი: „მეორე ტაიმი ძალიან ცუდად ვითამაშეთ“



ბარსელონის მთავარმა მწვრთნელმა ხავიმ რეალთან 0:4 მარცხზე ისაუბრა და თქვა, რომ პირველ ტაიმში გუნდი ცუდად არ გამოიყურებოდა, მაგრამ მეორე ტაიმში რეალმა სრული უპირატესობა მოიპოვა და ბარსელონამ ბევრი შეცდომა დაუშვა: „ძალიან მტკივნეული მარცხია, რომელიც დიდხანს გვემახსოვრება, მაგრამ ჩვენ წინ უნდა ვიყუროთ და კონცენტრაცია ლა ლიგაზე გავაკეთოთ. წინ მნიშვნელოვანი მატჩები გვაქვს და ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული“.

## ბენზემა: „რეალმა თავისი ძალა აჩვენა“



მადრიდის რეალის ფორვარდმა კარიმ ბენზემამ ბარსელონის კარში 3 გოლი გაიტანა და ყველას შეახსენა, თუ რატომ მოიგო ოქროს ბურთი. კარიმმა მატჩის შემდეგ თქვა, რომ რეალი კვლავინდებურად ძლიერია და ბარსელონასთან მატჩში ეს კარგად გამოჩნდა: „რეალს უდიდესი პოტენციალი აქვს და ეს ყველამ დაინახა. ბარსელონამ ვერაფერი დაგვიპირისპირა და გამარჯვება დავიმსახურეთ. იმედი მაქვს, რომ ფინალსაც მოვიგებთ, რადგან ჩვენ მხოლოდ პირველობა დაგვაკმაყოფილებს“.

## მესი პსჟ-ში დარჩენას არ აპირებს



არგენტინელი ვარსკვლავი ლიონელ მესი პსჟ-ში დარჩენას არ აპირებს და ჯერჯერობით უცნობია, თუ სად გააგრძელებს ის კარიერას. შესაძლოა, მესი ბარსელონაში დაბრუნდეს, თუმცა ეს ვარიანტი ნაკლებად რეალურია. ასევე არ გამორიცხავენ საუდის არაბეთს, სადაც მესის უამრავ ფულს სთავაზობენ. გადაწყვეტილებას მესი, სავარაუდოდ, მაისში მიიღებს. ბოლო შეხვედრებში მას პსჟ-ს ფანები უსტვენდნენ.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## იუმორი

ქალი კაცს ეუბნება:

– თქვენ ჩემს მკერდს ჩასჩერებიხართ, თავად კი შარვალი გაქვთ გახსნილი!

– ჰოო, როგორც ჩანს, არც თქვენ მომჩერებიხართ თვალებში!

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– რამდენი წელია, სიგარეტს რომ ეწევი?

– 30 წელზე მეტია.

– მაგ ფულით შეგეძლო, თვითმფრინავიც კი გეყიდა.

– შენ ეწევი?

– არა.

– მერე, სად გიყენია შენი თვითმფრინავი?

●●●

განცხადება:

„სახანძრო დაცვის თანამშრომელმა საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ცეცხლმოკიდებული ბანკიდან ტომრით მილიონი დოლარი გამოიტანა. ამჟამად გმირი მეხანძრის ადგილსამყოფელი უცნობია“.

●●●

ოფიცერი სამხედრო ნაწილის ეზოში უსაქმოდ მოხეტიალე ჯარისკაცს აჩერებს და ეკითხება:

– რატომ დაბოდიალობ უსაქმოდ? გაწვევამდე რას აკეთებდი?

– სავაჭრო ფირმაში განყოფილების ხელმძღვანელის მოადგილე ვიყავი.

– ხელქვეითები გყავდა?

– დიახ, 10 კაცი.

– როგორ მოიქცეოდით, რომ გენახათ, თქვენი ხელქვეითები უსაქმურობდნენ?

– სამსახურიდან გავათავისუფლებდი.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## მარტა ბარამიძემ სასამართლოში სარჩელი შეიტანა



მსახიობმა მარტა ბარამიძემ ბიკო ბირბიჩაძის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. მისი განცხადებით, 16 წლის ასაკში ბიკო ბირბიჩაძემ მასზე ფიზიკურად იძალადა, სექსუალური ძალადობა ცადა და დაემუქრა:

– გავბედე და საჯაროდ ვთქვი ის, რის თქმაც 10 წლის განმავლობაში მინდოდა. ეს ამბავი იცოდნენ ჩემმა მეგობრებმა, იცოდა იმ ოჯახმა, რომელსაც მე თავი შევაფარე და სიცოცხლის ბოლომდე მადლიერი ვიქნები მათი. იცოდა ე.წ. ბაბლმა. ამ ამბავზე წლების განმავლობაში ჩუმად საუბრობდნენ. 10 წელი მტანჯავდა, მაწუხებდა და ვაღიარებ, რომ მეშინოდა გამეგებინებინა უფრო მეტი ხალხისთვის.

ახლაც კი, როცა საჯაროდ ვთქვი, ბევრმა ადამიანმა, ვინც, სამწუხაროდ, ამა თუ იმ გავლენის ქვეშაა ან სხვა მიზეზი აქვს, თავი შეიკავა რეაგირებისგან, მაგრამ მხარდამჭერი უფრო მეტია და მადლობა იმ ხალხს, ვინც გამბედავი აღმოჩნდა, ვინც საჯაროდ წერს ან პირადში მამხნევებს. ძალიან ბევრნი ხართ. სიტყვები არ მყოფნის ვთქვა, როგორ გემადლიერებით. განსაკუთრებით მადლობა ქეთა გაბუნიასა და კომუნა მზესუმზირას. ისინი წლების განმავლობაში პირდაპირ საქმიან ურთიერთობაში იყვნენ მოძალადესთან და, ამის მიუხედავად, უკან არ დაუხევიათ ჩემ დასაცავად. მადლობა ია ფარულავასა და მის გუნდს, რომლებმაც მომისმინეს, გულთან მიიტანეს ჩემი ამბავი და დღემდე მუდმივ კომუნიკაციაზე არიან.

ცხადია, ვერაფერი დამავიწყებს ამ ფაქტს, მაგრამ მე შევეცადე, რომ მხრებიდან მომეხსნა ტვირთი. არ დავიწყებ ახსნას, რომ მე არანაირი მოტივაცია არ მექნებოდა, ტყუილი დამებრალებინა ადამიანისთვის. ერთადერთი სურვილი, რაც ამ აღიარების დროს მამოძრავებდა, მინდოდა, დამეცვა სხვები. შეიძლება ცოტა დავაგვიანე. მადლობა მათ, ვინც ამის გამო არ მკიცხავთ. თურმე რამდენი ვყოფილვართ, ქალებო. ყველა თქვენგანის გამო ვწუხვარ, ვისაც იგივე, ცოტა ნაკლები ან უარესი გამოგივლიათ იმ ადამიანისგან. მადლობა გამბედაობისთვის, რომ ჩემთან მაინც ყვებით. მე მესმის მათი, ვისაც საჯაროდ თქმის ძალა ჯერ არ აქვს.

რაც შეეხება ბიკო ბირბიჩაძეს: ყველაზე გამაოგნებელი რაც არის, გავიგე, რომ აპირებს მიჩივლოს. სიმართლე გითხრათ, ძნელია, ასეთი ადამიანისგან კიდევ რამე გაგიკვირდეს, მაგრამ ესეც მოახერხა. საბედნიეროდ, მოწმე ბევრი მყავს და, ამასთანავე, მაქვს იმედი, რომ სხვებიც გა[illegible]დავენ, საჯაროდ თუ არა, შესაბამის უწყებებთან საუბარს. ნუ შეგეშინდებათ, ბევრნი ვართ და ძალიან ძლიერები და შესაძლოა, დადგეს მომენტი, როცა ერთმანეთი უნდა დავიცვათ. მე მჯერა სიმართლის და მჯერა ჩემი საზოგადოების.

მას შემდეგ, რაც ია ფარულავას გადაცემაში „ია ფარულავას კონვერტი“ ჩემთვის სა[illegible]ოდ მძიმედ გასახსენებელ, მაგრამ აუცილებლად მოსაყოლ გადამხდარ ამბავზე ვისაუბრე, პირად შეტყობინებებში არაერთი მხარდამჭერის წერილი მომდის, ქუჩაში მხვდებიან ჩემთვის სრულიად უცხო ადამიანები და სოლიდარობას მიცხადებენ. თქვენი მხრიდან მართლაც უდიდეს მხარდაჭერასა და სიყვარულს ვგრძნობ, რისიც ძალიან მადლიერი ვარ.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## გიორგი გიგაშვილი გერმანიაში დაუკრავს



რუბინშტეინის საერთაშორისო კონკურსის აბსოლუტური ტრიუმფატორი, ქართველი პიანისტი გიორგი გიგაშვილი 17 აპრილს გერმანიაში დაუკრავს.

ბერლინი დაგეგმილ კონცერტში გიორგისთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ ნინი ნუცუბიძე, ნიკალა ზუბიაშვილი და მარიამ კუბანსკი.

ქართველი მუსიკოსები და მომღერლები გერმანიაში ხელოვნების ფესტივალზე არიან მიწვეული, სადაც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას.

## „ხასანბეგურა“ სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა

უნიკალური ქართული სიმღერა „ხასანბეგურა“ წარდგენილი იყო ხალხური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალზე. მისი წარმდგენი საქართველოს პირველი არხი იყო.

ხალხური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალზე „ხასანბეგურა“ საუკეთესოდ აღიარეს და სპეციალური პრიზი – „ხალხური მუსიკის საუკეთესო ჩანაწერი“ დაიმსახურა.

## გუჯა ბურდულის ხსოვნას კინოჩვენება მიეძღვნა



მსახიობ გუჯა ბურდულის დაბადების დღეზე მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად კინოს სახლში კინოჩვენება გაიმართა.

კინოდარბაზში შეკრებილმა მისმა ოჯახის წევრებმა, მეგობრებმა და კოლეგებმა გუჯა ბურდული კიდევ ერთხელ გაიხსენეს და ქართულ კინემატოგრაფში მის მიერ დატოვებულ წარუშლელ კვალზე ისაუბრეს.

გუჯა ბურდული გასულ წელს 80 წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი მახათას საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

## მარიამ ობოლაშვილი სერბეთის საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულია

მევიოლინე მარიამ ობოლაშვილმა ბელგრადის საერთაშორისო კონკურსში გაიმარჯვა. კონკურსის ფინალი სერბეთის ტელე-რადიო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ჩატარდა, სადაც მარიამი ორკესტრმა თავის რჩეულად დაასახელა. მუსიკოსი შემდეგ საკონცერტო სეზონზე ორკესტრის მიერ მათთან ერთად დასაკრავად არის მიწვეული.

მარიამ ობოლაშვილმა მიიღო სტეფან მილენკოვიჩის სპეციალური პრიზი სონატის საუკეთესო შესრულებისთვის და კონკურსის ლაურეატობაც – მე-3 ადგილი დაიმსახურა:

– ძალიან გამიხარდება, თუ ისიამოვნებთ ფინალის ჩანაწერით, რადგან თქვენთვის დავუკარი და არა ჟიურისთვის. ყველას დიდი მადლობა მოლოცვისთვის. თქვენი თითოეული სიტყვა და მხარდაჭერა ჩემთვის უძვირფასესია. დიდი დღესასწაული იყო აქ დგომა ორკესტრის წინ, ასევე დარბაზში კონკურენტის აბსოლუტური უმრავლესობა გულშემატკივრისგან გულმხურვალე აპლოდისმენტების მიღება და ყველაზე მთავარი: სცენაზე გვერდით მყოფი მუსიკოსების ემოციები ჩემ მიმართ! უზომოდ ამაყი ვიყავი, ახლოს საქართველოს დროშას რომ ვხედავდი! მადლობა სერბეთსა და კონკურსის უსაყვარლეს ორგანიზატორებს!

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ასტროპროგნოზი



**7 აპრილისათვის**

**ვერძი** – მოულოდნელობებითა და ახალი თავგადასავლებით დატვირთული დღეა. ნუ გარისკავთ. **კურო** – დღეს ქალებს განსაკუთრებით უმართლებთ. მოსალოდნელია კარიერული წინსვლა, ფინანსური კეთილდღეობა. **ტყუპები** – იოლად არავის მიენდოთ. დიდია მოტყუების ალბათობა. ეცადეთ, თქვენი უნარები სრულყოფილად წარმოაჩინოთ. **კირჩხიბი** – კეთილისმყოფელი პერიოდი გაქვთ. პირადი მომხიბვლელობა და სითამამე მიზნის მიღწევაში დაგეხმარებათ. **ლომი** – საეჭვო ნაცნობებთან ურთიერთობას ერიდეთ. ნეგატიური დღეა, თუმცა თქვენი განცდები ამაოა. ყველაფერი მალე გაივლის. **ქალწული** – შორს გამგზავრება დროებით გადადეთ. დაისვენეთ ოჯახურ გარემოში. **სასწორი** – ცდუნებასა და პროვოკაციებს ნუ აჰყვებით. კრიზისულ სიტუაციებში თქვენი საუკეთესო მრჩეველი ცივი გონებაა. **მორიელი** – ნებისმიერი საქმიანი კონტაქტისაგან თავი შეიკავეთ. უსიამოვნებებს ფილოსოფიურად მიუდექით. **მშვილდოსანი** – დღეს მხოლოდ მთავარი საქმე აკეთეთ. ენერგია დაზოგეთ. ფიზიკური დატვირთვა რეკომენდებული არ არის. **თხის რქა** – დაკისრებული სამუშაო ყურადღებით შეასრულეთ. დღეს დაშვებული შეცდომის გამოსწორება გაგიჭირდებათ. **მერწყული** – შემოქმედებითი არეალი ფართოვდება. საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოიყენეთ. **თევზები** – ყურადღებითა და მშვიდად იყავით. ყოველ წვრილმანს ჩაუღრმავდით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. უბანი თბილისში; 2. ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 3. რუმინეთის ფეხბურთელთა გუნდი; 4. სატუსაღო თბილისში; 6. ისტორიული მოვლენების ქრონოლოგიური ჩამწერი; 9. ისტორიული ქალაქი ჯავახეთში; 11. აეროპორტი ბუქარესტში; 15. შეკითხვაზე რომის იმპერატორის პასუხი, რომელსაც კანონის ძალა ჰქონდა; 16. დაქირავებული კავალერი; 17. ნათესავის, შთამომავლის ძველი ქართული სახელწოდება; 19. მიწის თხილი; 21. სახელმწიფოს დროებითი მმართველი მონარქიულ ქვეყნებში მეფის მცირეწლოვნების გამო; 22. მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი სვანური სოფელი.

**თარაზულად:** 5. კამერული მუსიკის ჟანრი; 7. საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა, გამოხატული ქცევაში ან ლაპარაკში; 8. მთიანეთი აფრიკაში; 10. მოხარშული და გადაზელილი ქართული ყველი; 12. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 13. ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში; 14. დანიელი მეზღაპრე; 18. ყოველდღიური გაზეთი ესპანეთში; 20. ფულის ერთეული ერაყში; 23. თავისივე ქონში ჩახრაკული საქონლის გულ-ღვიძლისაგან მომზადებული კერძი; 24. ძვირფასი ქვა, რომელზეც ამოკვეთილია წარწერა ან ორნამენტი; 25. სამკურნალო საცხი; 26. საკარმიდამო მამული საფრანგეთში; 27. სამართლებრივი მდგომარეობა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

